ეროვნული ბიბლიოთეკა

# მებრძოლი საქართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

„LA GÉORGIE COMBATTANTE"

PRIX: 50 F. MENSUEL

№ 6 | აგვისტო 1952 წ. — AOUT 1952 | № 6

აგვისტო. 1952 წ.

## ყრილობისათვის

ვიწვევთ ყრილობას, მრავალია ნამუშავარი. უფრო მეტი კიდევ ახალი პრობლემები, რომელიც წინ გვიდგას გადასაჭრელად. აქამდე ვმუშაობდით იმ მცირე დირექტივებით, რომელიც ყრილობისაგან მიღებული წესდებაში იყო აღნუსხული. მაგრამ, მოგეხსენებათ, წესდება ყოველთვის უფრო ფორმალურია და ორგანიზაციული, ვინემ პოლიტიკური. მაინც ვცდილობდით ყრილობაზე გამოთქმულ აზრების და შეხედულებების ფარგლებში შემოგვეხაზა ჩვენი მოქმედების ასპარეზი.

ვმუშაობდით აშკარათ, საჯაროთ, ყველას თვალ - დასანახავათ. თუ ყველას ვერ მივაწვდინეთ სპეციალური მოხსენებები,, — დრო და გარემოება არ გვიწყობდა ხელს — სამაგიეროთ ჩვენი ორგანო, ვფიქრობთ, იძლეოდა ყველა აღძრულ საკითხებზე სათანადო ცნობებს და იდეურ განმარტებებს.

საკმარისი იყო იგი საზოგადოების მზარდი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ თუ არა, — ამის განსჯა ჩვენ არ გვეკუთვნის; შეგვიძლია მხოლოდ ვთქვათ: თვიდან - თვემდე ყველა ქართველს ემიგრაციაში, სადაც კი ხელი მიგვიწვდებოდა, ვაწვდიდით ცნობებს, მასალებს, იდეებს; ვაწვდიდით ყველას, მომხრეს, მოწინააღმდეგეს, ნეიტრალს, ყოველგვარ დისკრიმინაციის გარეშე.

დღესაც, როცა ყრილობას ვიწვევთ, რომლის წინაშე წარდგენილ იქნება მთელი ანგარიშები ჩვენი საქმიანობის და დაისმება მიმდინარე პრობლემები გადასაჭრელად, ასევე გვინდა ყველამ მოგვაწოდოს ხმა, მოგვცეს მეგობრული რჩევა, გასწიოს კრიტიკა კონსტრუქტიული, საკითხის გამაღრმავებელი, საქმის წინ წამწევი. გონიერი, საქმიანი ოპოზიციაც მისაღებია, ვინაიდან ჩვენ ვეწევით საერთო საქვეყნო საქმეს, ვდგევართ ერის განთავისუფლების სამსახურში. ამ მიზნით გვაქვს აღებული გარკვეული ხაზი მუშაობის; ამ მიზნით ვებრძვით დაბრკოლებებს და ვეძებთ მეგობრებს, დამხმარეთ, თანამგრძნობთ. არ შევშინებივართ შიგნით, ქართულ საზოგადოებაში, გასულ წელთა მწარე გამოცდილებით დაკვებილ შეცდომების თუ გაკვეთილების გამოყენებას. არ შევშინებივართ ახალი გზით სიარულის სიძნელეს. არც ძველი ტრადიციების უარყოფას, თუ ისინი შემცდარი იყვნენ, ან გამოუსადეგარი ახალი ბრძოლისთვის. მაგრამ არც ხელი გვიკრავს ძველი გამოცდილებისათვის, რაც ახალ პირობებში გამოგვადგებოდა. ყველა სიმძიმენი გადატანილი არაა, ყველა დაბრკოლებები დაძლეული არაა.

ახალი პრობლემები გნებავთ? მრავალია.

ფსიქოლოგიური ომის პროცესში ვაპირებთ ძირეულათ ჩაბმას. მოსამზადებელი პრაქტიკული მუშაობა თითქმის ბოლომდეა მიყვანილი. დღეს თუ ხვალ დიდი რადიოც ამუშავდება, სადაც ქართველებს გვექნება თავისი ადგილი, დამოუკიდებელი, თავისუფალი, ქართული საქმის და მისწრაფებების საქადაგებლად, ქართველი ხალხის გულში იმედის ნათელი სხივების ჩასაფრქვევათ, გასამხნევებლათ, ტანჯული გულის მოსაოხათ, მოქანცული, დაწყლულებული, მოდუნებული ძალების გამოსაცოცხლებლად, ასამოძრავებლად. ეს ერთი ამოცანაა. მას მოსდევს მეორე. ვინ იცის რა მოყვება „ფსიქოლოგიურ ბრძოლას", „ნერვების ჭიდილს"?.

ყოველი მოსალოდნელობისათვის უნდა ვიყოთ აღჭურვილი წინდახედულობით, აზრით, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედო გეგმით; უნდა გვყავდეს მეგობრები, თანამგრძნობნი, ჩვენი წმინდა უფლებების დამცველნი დიდ მსოფლიო მნიშვნელობის სახელმწიფოებრივ ძალებში, დიდ დემოკრატიებში, რომელთა რიგებში უკვე შედგმული გვაქვს ფეხი, მოპოვებული გვაქვს ზოგიერთი მეტად მნიშვნელოვანი პოზიციები. მათ სჭირდება გამაგრება, გაძლიერება, გაფართოება. მოგეხსენებათ, დემოკრატიაში არ კმარა მხოლოდ ოფიციალურ წრეებთან მისვლა, ან თითო-ოროლა მომხრეთა მოპოვება. უმთავრესი, უძლიერესი ფაქტორი დემოკრატიულ ქვეყნებში არის საზოგადოებრივი აზრის შექმნა და ამოძრავება იმ მიზნების სასარგებლოთ, რომელიც გვაქვს დასახული. დაინტერესება დიდი სახელმწიფოების ჩვენი პატარა ერის ბედით — მოითხოვს ამ მხრივ განსაკუთრებულ დიდ მუშაობას, გონიერ პოლიტიკურ ნაბიჯებს, რომ დემოკრატიის საზოგადოებრიობის ფართო წრეების ყურადღების მიპყრობა გახდეს შესაძლებელი...

და ჩვენ ამ დიდ საქმეს შევუდექით მთელი ჩვენის ძალით, გონებით და გამოცდილებით. გვინდა პატარა საქართველოს აზრმა შესახს ფართო იმ დიდ ბრძოლას, რომლის წარმოება გარდაუვალ მოვალეობათ აწევს საბჭოთა საპყრობილეში ჩამწყვდეულ ყველა ერებს განურჩევლათ სიდიდისა და მდგომარეობისა. გვინდა ყველა ამათში სულის ჩამდგმელის როლი ვითამაშოთ.

ვიცით: იმ უზარმაზარი კოლოსის წაქცევა, რომელსაც ს.ს.რ.კ. ეწოდება და რომლის სათავეში კომუნისტური დიქტატურაა წამოჭიმული, მოითხოვს მეტ ძალებს. ვიცით, საჭიროა ამ ერთა გაერთიანების საერთაშორისო დემოკრატიის ბრძოლის ფარვატერში ჩაყენება, მსოფლიოს უდიდეს თავისუფალ ქვეყანათა ბრძოლის მეთოდებთან და მისწრაფებებთან მჭიდროთ დაკავშირება. ამას ეხსოვება კიდევ ერთი სირთულე: ადამიანის უდავო უფლებებთან ერთად — ერის თავისუფლების უდავო ხარტია — თანამედროვე ევროპულ დემოკრატიულ აზროვნებისათვის განუყოფლათ რომ არის აღბეჭდილი პროგრესის და რეალური მშვიდობიანობის დროშაზე.

„განთავისუფლება ყველასი და თავისუფლება ყველასათვის“, „ერისა და პიროვნებისათვის“ — აი ლოზუნგი დიადი, აღმაფრთოვანებელი, ღირსი მახვილი, ტკბილი ველების და თავდადების. ამ დიად პრობლემათა კონკრეტიულ პირობებში კონკრეტიული სახით ჩამოყალიბებაზე უნდა იზრუნოს მომავალმა ყრილობამ. ამის გარშემო უნდა დაიძაბოს აზროვნება **ყველა ქართველი პოლიტიკური მოღვაწის.**

უნდა ღრმად ჩავიხედოთ ჩვენს აზრსა და გონებაში: ქართველი ერის თავისუფლება, აღდგენა დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკის მხოლოდ ამ საერთაშორისო პროგრესიულ მოძრაობის გამარჯვებაში მოიპოვებს თავის დადებითი გადაწყვეტილებას. ამ მსოფლიო მასშტაბის ბრძოლაში ჩაბმა და შიგ ქართული საქმის ჩაჭედვა — აი ამ ცოცხალ, საიმედო საქმის გარშემო, რომელსაც პირველ ყრილობიდან დღემდე დასტრიალებს თავს ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელი ორგანოები — უნდა დარაზმოს **მთელი ქართველობა.**

ვინც აქ არ დგას — ის ხელს აკლებს ამ საქმის წარმატებას. ამიტომ ვამბობთ ჩვენ: ყველა თავის პასუხისმგებლობის წინაშე! ვამბობთ და ღრმათ გვწამს: თავის ქვეყნის გულწრფელად მოყვარული ყოველი ქართველი აქ იქნება ჩვენი ყრილობის რიგებში თავის წვლილის მოსატანათ ერთობლივი საქართველოს ბედზე დარაზმაში...

# აგვისტოს დღეები

დიდი ტრაგედია ქართველი ერის — აგვისტოს დღეები 1924 წლისა, როცა ორი მილიონიანი ერი აუჯანყდა 180 მილიონიან რუსეთს, იარაღით მოითხოვა თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

ეს იყო გამოხატულება ერის გაბედულობის, უდიდესი სიამაყის, თავდადების და შემართების. ეს იყო თავგანწირულება მონობიდან თავის დახწევისათვის.

რატომ მოხდა იგი? ამ სტრიქონების ავტორი ეკუთვნის იმ პირთა რიცხვს, რომელთაც ქონდათ სურვილი აეცდინათ ეს მწვავე განსაცდელი ქართველი ერისათვის. მაგრამ სურვილი არ განხორციელდა. აჯანყება მოხდა, დაიღვარა უბიწო სისხლი, სამშობლოს საკურთხეველს შეეწირა მრავალი საუკეთესო შვილი ერის. მცირე რიცხოვანი ერი ძლეულიქნა მტერთა სიმრავლისაგან ფიზიკურათ, მაგრამ არა მორალურათ.

დღეს აღარ დგას საკითხი: რა იქნებოდა აჯან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყებიდან რომ თავი შეგვეკავებია? ან შეიძლებოდა თავის შეკავება თუ არა? დღეს ამაზე იმსჯელონ არა პოლიტიკურმა პარტიზანებმა, არამედ ობიექტიურმა ისტორიკოსებმა, რომელთაც ხელთ ექნებათ ყველა მასალები, ყველა საბუთი ერის სულიერი განწყობილებისა, მეთაურთა პოლიტიკური ხელმძღვანელობისა შინ და გარეთ.

დღეს ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ გამოვიდგეთ ისტორიკოსის როლში. მაინც უნდა ვცადოთ, სამიათეული წლის მიჯნაზე უფრო გულდასმით, დაკვირვებით, შეძლებისდაგვარად მიუდგომლობით აღვნიშნოთ აზრი და მნიშვნელობა მომხდარი ამბების. გვინდა შევხედოთ მას, როგორც ისტორიულ მოვლენას — დიდ აქტს, ჩვენი ერის მატიანეში სისხლის ფურცლებით აღბეჭდილს.

დიდი სურვილი გვქონდა მისი სრული სურათის აღდგენის. სად, როგორი სახით, რა ძალებით იწარმოვა ხალხის სულიერი მღელვარების გარეგნულმა გამოხატულებამ? სამწუხაროთ დღეს ეს არ მოხერხდება საკმარისი ობიექტივობით და მისათვის სათანადო მასალათა უქონლობის გამო. ამიტომ აქ უნდა დავკმაყოფილდეთ იმის აღნიშვნით, რაც უდაოთ მიგვაჩნია.

ვიცით რომ ქართლ-კახეთში იყო შეიარაღებული რაზმები ქაქუცას მეთაურობით, ვიცით ამ რაზმებს, ანუ შეფიცულებს არ აკლდათ თავდადების უნარი; ვფიქრობთ, აჯანყების გეგმების ზოგიერთი მნიშვნელოვანი ნაწილის ჩაშლამ, როგორც იყო აჯანყების წინადღით გამოწვევა თფილისში ვაზიანის არტილერიის, რომლის ხელში ჩაგდება იყო განძრახული და სხ. — ხელი შეუშალა ამ რაზმებს თავის მძიმე ამოცანის შესრულებაში და მთელი ხალხის მასსიური გამოსვლაც დააბრკოლა ქართლ-კახეთის მხარეში. განწყობილება აჯანყებისადმი კი ქართლ-კახეთშიაც ისეთივე იყო, როგორც ყველგან საქართველოში.

ვიცით დასავლეთ საქართველოს ყოველ კუთხეში მოხდა არაჩვეულებრივი, მასსიური აფეთქება მთელი ხალხის, ქალის და კაცის. კომუნისტური ელემენტები ხალხისაგან სრულიად მოწყვეტილნი და განმარტოვებულნი დარჩნენ, როგორც წყლიდან ამოვარდნილი თევზები. სადაც იყო ბრძოლა, ყველგან რეგულიარულ რუსულ ჯართან, მაგრამ ჯარიც მრავალგან იქნა დამარცხებული, როგორც მაგალითად ჩხარის რაიონში; მასსიური გამოსვლები იყო გურიაში და სამეგრელოში. ამ უკანასკნელში დიდ შეჯახებასაც და სისხლის ღვრასაც ქონდა ადგილი.

სოფელი ყველგან სწრაფათ დაცალიერდა საოკუპაციო ხელისუფლებისაგან. მხოლოდ დიდი ქალაქები, სადაც რუსეთიდან მოყვანილი ჯარი იდგა, — ამ უკანასკნელის წყალობით გადაურჩა ალებას.

ვიცით, ქართველი ერის შიგნით არ აღმოჩნდა არავითარი ძალა რომ აჯანყებულთათვის ოდნავი წინააღმდეგობა გაეწია. აჯანყება ჩააქრო უცხო ხიშტმა, გარედან მოყვანილმა რუსის მხედრობამ, რომელსაც დაჭერას გადარჩენილი ორიოდე ქართველი კომუნისტები — ეს მოღალატე ბუშები თავის ერის — მიუძღოდენ წინ.

საქართველო ახლაც აიღეს გარედან, ისე როგორც პირველ შემოსევის დროს.

ეს არის ერთი ძირითადი დამახასიათებელი მოვლენა ამ აჯანყების, რომელმაც დიდი ფსიქოლოგიური და სოციალური შედეგები გამოიწვია მთელ თაობაში. მაგრამ ამ შედეგებზე როგორმე სხვა დროს გვექნება საუბარი. ახლა კი განვაგრძოთ:

რათ მოხდა აჯანყება? იმიტომ რომ ქართველ ერს ქონდა ტკბილი მოგონება თავისუფლების, თვითმოქმედების, ადამიანური ღირსების და კეთილდღეობის თავის ხელით გაჭედვის, რაც ათეული წლების დაუცხრომელი ბრძოლით იქნა მოპოვებული და დამოუკიდებლობასთან ერთად განხორციელებული. მეორეთ იმიტომ რომ მას ახლა თავს აწვა უცხო რეჟიმი, სულის შემხუთველი, თავისუფლების ამკვეთი, თვითმოქმედების ჩამკვლელი, მონობის დამამკვიდრებელი, აწვალებდა სიმძიმე და მწუხარება დაკარგული დამოუკიდებლობის, რომელიც ასე სხივ-ნათელ და ნაყოფიერ მომავალს უქადდა. პირველი იყო ერის წიაღიდან გამოსული, მეორე გარეშე უხეში ძალით თავს მოხვეული და მით უფრო აუტანელი და შეუგუებელი.

ერი იოლათ არ მიდის აჯანყებაზე. ჩვენ ვიცით: ერის ხელმძღვანელთაგან, ადგილობრივ ყველა პარტიებისაგან იყო ცდა დამპყრობელ კომუნისტურ ძალებთან რაიმე ოდნავ **შეღავათიანი პირობების** გამონახვის, რომ ერს სულის მობრუნების საშვალება მაინც მისცემოდა. კომუნისტ-მოღალატეებმა უარით უპასუხეს. დიქტატურას, გარეშე სრული, აბსოლიტიური მორჩილებისა, არ შეუძლია იარსებოს, ისე როგორც ქართველ ხალხს არ შეუძლია არსებობა გარეშე თავისუფლების ელემენტარული წესებისა.

ქართველი ხალხისათვის, ეჭვი არ უნდა, ძნელი გასაგები არ იყო, რომ პატარა ერი დიდ რუსეთს ვერ გაუმკლავდებოდა. და რომ მას სხვა საშვალებები ქონოდა თავის მისწრაფებათა გამოსახატავად, მშვიდობიანი ხასიათის, უსისხლო, ან ნაკლებ სისხლიანი, იგი მას აირჩევდა და აჯანყების გზას დაერიდებოდა!...

კომუნისტურ ჯალათებმა აქაც გამოიჩინეს სისხლის წყურვილი; ფაქტია, რომ მათ იცოდენ აჯანყებისათვის მზადება სასოწარკვეთილი ხალხის. იცოდენ და მაინც ვ. ჯუღელს დატუსაღებულს არ მისცეს საშვალება საწამლავის დალევის შემდეგ 2 დღით გამოსულიყო გარეთ მომაკვდავი, რომ ხელმძღვანელობისათვის მიეცა უკანასკნელი გაფრთხილება. მათ უნდოდათ სისხლში ჩაეხრჩოთ ჯიუტი ურჩობა თავისუფლების მოყვარეული ქართველი ერის.

ცხადია, საქართველოს აჯანყება იყო გამოწვეული კომუნისტური ხელისუფლების მტარვალური ქცევით, პროვოკატორული საქციელით. წარუშლელი ბოროტების ლაქით არის აღბეჭდილი მათი საქციელი.

მაგრამ ხალხშიაც, რომ ასე მოქცეული იყო სურვილი იარაღით თავის უფლებათა აღიარების?

დიახ, იყო, მაგრამ ხალხს აქვს უფლება აჯანყების, როცა სხვა გზები დახშულია.

აჯანყება ტირანიის წინააღმდეგ — მოქალაქეობრივი მოვალეობაა.

საქართველოს აჯანყებაც, რამდენადაც იგი ხალხის გულიდან გამოდიოდა, მორალურათ გამართლებულია. ხალხს ვერავინ დასძრახავს იარაღისათვის მიმართვას. ხელისუფლებას შეუძლია იგი შეაჩეროს — ხალხის ნებისყოფის წინაშე ქედის მოხრით; კომუნისტებმა აირჩიეს პირიქით ამით სარგებლობა ხალხის სისხლიდან დასაცლელად,, აირჩიეს რუსის ხიშტის იმედით ხალხთან სისხლიანი ანგარიშის გასწორება.

მუხანათობა კომუნისტების ერთის მხრით, — თავისუფლებათა დაცვის გაუდაუვალი წყურვილი ქართველი ხალხის მეორე მხრით — აი ორი სახე აგვისტოს დღეების...

უდავოა, ხალხი იყო მთლიანი ამ დღეებში. მათ ქონდათ მრავალი წლის დაუცხრომელი ბრძოლის და რევოლიუციური მოძრაობის ისტორია გავლილი პოლიტიკური პარტიათა მეთაურობით, რომელთაგან ყველაზე მეტი გავლენა ქონდა ს.-დ. პარტიას. ხალხი უსაზღვრო ნდობით ეპყრობოდა მათ ხელმძღვანელობას, პოლიტიკური და ტექნიკური მეთაურობის მთელი პასუხისმგებლობა ამიტომ აწვა ამ უკანასკნელთ. ს. გოგიბერიძე მოგვითხრობს, რომ გამოწვეულ მებრძოლთაგან „არც ერთს არ უკითხავს, თუ რის იმედით ვაწყობთ აჯანყებას, ან რამდენი შანსია გამარჯვების. ყველა მათგანი მხოლოდ მისი აწოცანის კოხტად შესრულებაზე ფიქრობდა. მხოლოდ ამის შესახებ მოითხოვდა განმარტებებს“. (იხ. მისი „ბრძოლა სამშობლოსათვის“, გვ. 106).

ასეთივე ურყევი ნდობა გამოიჩინა ხალხმა აჯანყების დამარცხების შემდეგაც. ტყეში გასული, დამარცხებული რაზმები, დამკომის მოწოდებისთანავე, სიცოცხლის რისკით, ცხადდებიან კომუნისტური ხელისუფლებასთან, რომელთაგან სიტყვის გატეხა ყოველ წუთში იყო მოსალოდნელი. ერის ინტერესი მათ დააყენეს მაღლა პირად გადარჩენაზე. ამით მებრძოლმა საქართველომ გამოიჩინა არა მარტო ძლიერი რევოლიუციური სულისკვეთება, არამედ უაღრესი დისციპლინა საერთო ინტერესების წინაშე — რაც მხოლოდ მის მაღალ შეგნებას მიეწერება. ეს მებრძოლი ერი, ქალიან-კაციანათ გამოსული „დამწიფებული, შეგნებული ერი იყო თავის ინტერესების მცოდნე და თავის იდეალისაკენ ურყევათ მიმავალი“ (იქვე გვ. 108).

აჯანყება დამარცხდა, მაგრამ არა შინაური ძალებით, ან ქართველ მოღალატე კომუნისტთა გაბედულობით, არამედ რუსის ჯარის ხიშტებით, რომელიც იდგა საოკუპაციოთ საქართველოში. ეს იყო ამიტომ მეორე დაპყრობა ორიოდე დღით თავისუფალ ჰაერით ამომსუნთქველი ერის და მისი ბედის ჩაბარება მოღალატე და ლაჩარი კომუნისტებისათვის. მაგრამ ქართველი ერი არ გაუტეხია არც იმ საშინელ სისხლის ნიაღვარს, რომელიც კომუნისტების ლაჩრულმა შურის ძიებამ დაადინა საქართველოს ყველა კუთხეებში. ათი-ათასობით საუკეთესო შვილი მოსწყდა ერს გულიდან. არ დაინდო მუხთალმა მტერმა ისინიც კი, ვინც დიდი ხნით ადრე იყვენ დაპატიმრებულნი, თვით რუსეთის შიგნით გადაყვანილნიც. ვისი ცოცხლათ ციხეში ყოფნისაც კი შიში ქონდათ გულში — ყველას დღე მოუსწრაფეს. სიველურე მათი მივიდა ისეთ სიმდაბლემდე, როგორიც არ ახსოვს არც ერთ აღმოსავლეთის მტარვალთა მხეცური შურისძიებას.

დიდი განცდა გამოიარა ქართველმა ერმა. წინაპართა გმირულ მაგალითებს მიუმატა ახა-

## მოთხრობიდან „მ ა თ ი ა მ ბ ა ვ ი"

### თ ა ვ ი II

საქართველო რიხიანი ამბისათვის ემზადებოდა... ათასი ხმები დაარხიეს... ამბობდნენ, ევროპას მეტის მოთმენა არ შეუძლიაო. ეს რიხიანი ამბავი მარიობისთვეს მოხდა. საქართველომ დაიქუხა... აბჯარ-ასხმული რაზმი ყოველ კუთხიდან დაიძრა, კომუნისტები სადღაც მიიმალნენ, და ვინც კი ხელთ იგდეს ამბოხებულებმა სიცოცხლეს ევედრებოდნენ. ქართველი ულმობელია დუშმანთან, მაგრამ განარისხებულის სრესა არ უყვარს. ციხიდან უმალ პატიმრები გაანთავისუფლეს და ეროვნული დროშებით გამოვიდნენ საზეიმოდ. დიდი იყო სიხარული და დიდი იყო სიძულვილიც.

***

მამა-შვილი, თედო და მალხაზი ამბოხებამდე ადრე გავიდნენ ქალაქიდან; თეკლათის ნაკურთხი დროშა შუაღამით დაამწყალობა ათანასე მოძღვარმა და ამაზმა აპკურა მეამბოხეთა რაზმეულს. ქრისტინეს არ ენდობოდა მამა-შვილი, მართალია წინ აღუდგა მათ, მაგრამ არ უფიქრიათ თუ ასეთნაირად გასწირავდა ყოფილ ამხანაგებს, მართალია პარტიიდან გარიცხული იყო, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავდა ქრისტინე ვაშაყმაძისათვის, თავი მაინც შეურიგებელ ბოლშევიკად მოჰქონდა. თედო ვაშაყმაძის განცვიფრება ულევი იყო, როცა აბჯარ-ასხმული ქრისტინე მეამბოხეებში აღმოჩნდა.

„ეხლა ყველაფერი გათავებულია მეც მათთან, ჩემს შვილებთან... მათი მღელვარე სული ალბად ცის ეთერში დაბინაობს, მათ იქ ჰპოვეს ღმერთი შვებისა, მათ ალბად თავიანთ სულს ცის ეთერში აუგეს სალოცავი" მოსთქვამდა ქრისტინე თავის დაკარგულ შვილებზე, გმირულად რომ დაეცნენ ტაბახმელასთან წყეულ თებერვლის ღამეს... დამუნჯებული იყო, ცაც დამუნჯებულა, ვარსკვლავები გამქრალიყვნენ... ქრისტინე არ დაგიდევდა არაფერს... იგი ვნება აშლილი მიემართებოდა ღამის წყვდიადში, ქალი მიენდო გულის ღელვას... წყვდიად ღამეში გადასჭრა ნარინჯოვანი ბალნარი, დამუნჯებული შარა-გზა და მეამბოხეთა ბანაკს მიაშურა.

— ჩემი საყვარელი შვილების გოჩას და ნინოს სულები მიხმობენ! სთქვა ქრისტინემ და მალხაზს ჩაეხვია.

***

ზღვის პირა ქალაქმა მხოლოდ ორი დღე და სამი საათი იზეიმა ეროვნული თავისუფლება. მის ასაკლებად მოემართებოდნენ დაგეშილი ჩეკისტები და ჯავშნიან მატარებელთა ხროვა. მოვიდნენ და თან მოიტანეს ცეცხლი და ურვა, ზარი და თავზარი. წყეული ჰანგები ტანჯვის გოდებად გაიშალა. ცრემლისა და სევდის ხმა ერთად აირია და სისხლის წვიმა დაირხა ცოდვილ მიწაზე... კიდით-კიდემდე დაიძრნენ ადამიანის სულის ასაფეთქებლად: ყველგან ტირილი, ურვა, გლოვა, გოდება... შავნაბადში გახვეული მიწის ძე საწუთროს დაშნა მოღერებული მოევლინა, სიცოცხლე არავის ახარებს, ადამიანს მომავალი არა სჯერა, და სიზმარეულით იგონებს წარსულს, შიშით მზერს ხვალის დღეს.

ჩვენი ქვეყნის თეთრ დარბაზებს ჩამოშვებული ბინდები დაუფლნენ და ადამიანის სახეზე აკიაფდნენ დაბინდული სევდები. სევდის ჰანგი მოედვა გარეჯულ მიდამოს, სახე გარინდულები სევდით დაეძებდნენ დაკარგულ საფლავებს და თითოეულ ადამიანს ულეთო ბედი ყაჩაღივით აედევნა... თითოეული მწარე სევდას გულში იკლავს და საქართველოს ბაღებში მკრთალი სევდა გაცრეცილ ფოთოლს არხევს.

მალხაზი მთებში გაიქცა: თედო ვაშაყმაძე იქვე საჯაროდ დახვრიტეს იმ მოედანზე, სადაც მეფის მთავრობის ურიად მოხელეს სილა გააწნა. ქრისტინე ვაშაყმაძისა, ოთხი შვილის დედა, შუბლზე ხაზებ გავლებული, მოთარეულებმა არ

---

ლი, სახელოვანი ფურცელი გაერთიანებული, გამთლიანებული ყველა ფენების თავგამოდებული ბრძოლის.

„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი"-ო დაგვიწერეს სისხლის ასოებით უკვდავი სიტყვები უკვდავ ანდერძად. და ეს ამოძახილი მათი წმინდა საფლავების დღესაც ალმურით ავსებს ჩვენს გულს და მოგვიწოდებს ყოველივე შევსწიროთ მათ გულისნადების განხორციელებას.

ბრძოლა გრძელდება. ბრძოლა უნდა გაგრძელდეს სრულ გამარჯვებამდე.

რ. არსენიძე.

დაინდეს, პატივი ახადეს და შემდეგ ცხენის წიხლებით დათელეს.

მთელი ღამე არ-ეძინათ, და ნაშუაღამევს დახურული მანქანები განწირულთა სულებით მიჰქროდნენ ზღვის სანაპიროზე, სადაც აწ უკვე გაუქმებულ საყდრის საყუდაროში მარტოდ შთენილი ჭოტი გულდათუთქული დასტიროდა საქართველოს მუხთალ ბედს და უბედობას... არც ღვთისმშობლის მონასტრის მოძღვარი ათანასე ჯიქიძე დაინდვეს, ხელ-ფეხი შეუკრეს და სხვებთან ერთად ზღვის პირზე გაიყვანეს დასახვრეტად. ღვთის მსახური და უწყინარი მოხუცი, თავის მრევლში სიყვარულისა და სათნოებას რო ნერგავდა უჭკნობი ნერგით, და თუ იმ საბედისწერო ღამეს ლაშქრად მიმავალი რაზმი დაამწყალობა და გზა უკურთხა, ეს ხომ დანაშაული არ არის. ქვეყნის დუშმანთან ბრძოლა საღვთო ვალი არის, ივერიის ეკლესიას ჰქონდა ეს ჩვეულება და მას არც მისი მოძღვარი განუდგომია. ათანასე ჯიქიძეც ამასვე ჰფიქრობს, მაშინაც როცა იგი ხელ-ფეხ შეკრული საკანიდან გაიყვანეს და ზღვის სანაპიროს გაუყენეს. სიკვდილის არ ეშინია მოხუცს. ათანასე მოძღვარს გულს უკლავს ის ამბავი რომ ჩეკისტთა ოცეულში მისი ვაჟი ურევია, გატაცებული სპარტაკელი. იაკინთე ჯიქიძის გული იწვოდა აბედივით, მისი გულის ცემა მხოლოდ მას ესმოდა. იაკინთე მამას თვალებს ვერ უსწორებდა. ათანასეს თვალებიც ერიდებოდნენ მას, რადგან მოძღვარს არ უნდოდა შვილის დატანჯვა, მხოლოდ სათნო მოხუცი გულში ლოცულობდა და ჩიფჩიფებდა: „აპატიე უფალო, რამეთუ არ იციან, რას სჩადიან“.

მოხუცი არ ღელავდა, ღელავდა შვილი, საცდელად რომ წაიყვანეს.

„კომუნიზმი თუ მშობლიური სისხლი“, დაუყენეს კითხვა წინასწარეულად იაკინთე ჯიქიძეს. როცა ერთ-ერთ ჩაშავებულ ხევთან საბარგო მანქანა გაჩერდა, იაკინთე ჯიქიძე გაქვავდა, სუნთქვა შეეკრა. განწირულებს კი ჯერ სამარე ამოათხრევინეს, ეს ვალი მათ დააკისრეს, შემდეგ ოცეული გაამწკრივეს, იაკინთეც ოცეულშია საცდელად მოყვანილი.

— მოემზადეთ! გაისმა ბრძანება და იაკინთე ჯიქიძემ ველურივით დაიღრიალა „მამა“, „მამა“, მისი სასოწარკვეთილი ხმა თითქოს ზეცას მოსწყდაო, ცივად გაისმოდა ზღვის პირზე და ბოლოს მინელდა, პონტოსის ტალღის რხევაში შთაინთქა.

— რევოლუციის მტრებს ცეცხლი! დაიქუხა სიკვდილის კომენდანტმა პეტროვმა, და პირველმა თვით დაუმიზნა, და მერე ვის? თეთრწვერა მოხუცს. ათანასე მოძღვარი მშვიდად იდგა და ჩიფჩიფებდა კვლავინდებურად.

„აპატიე უფალო, რამეთუ არ იციან, თუ რას სჩადიან“.

დაეცნენ... ღვთისმსახურის თეთრი წვერები სისხლში ბანაობდნენ, მოხუცს კი ღიმილი გამოჰკრთოდა ბაგეზე. ამათ რომ მორჩნენ, ჯერი იაკინთე ჯიქიძეზე მიდგა.

— ძაღლის შვილო! შეჰყვირა პეტროვმა.

— მამას ნუ შეურაცხყოფ ამხანაგო! შეუტია ჯიქიძემ.

— შენი ამხანაგი ძაღლია! სთქვა პეტროვმა, და რევოლვერით თავ-პირი დაუსისხლიანა ჯიქიძეს. შემდეგ ბრძანა მისი გათოკვა. გათოკეს და სამარის პირას დააყენეს.

— ძაღლს ძაღლური სიკვდილი! დაიძახა პეტროვმა და ტყვია დაახალა კოლხეთის ძეს, ქართულ მიწაზე ნაშობს. ვაჟი ჩაიკეცა და ახლად შობილ სამარეში გადაგორდა. დახოცილებს მიწა სახელდახელოდ წააყარეს და გზას გაუდგნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ იაკინთე შეინძრა, მიწა მიფანტ-მოფანტა, წამოდგომა სცადა.

„სჩანს ცოცხალი ვარ, არ გაუწირივარ გამჩენს“ სთქვა ყმაწვილმა და ტანზე ხელი მოისვა, სითბო იგრძნო. „დამჭრა მოთრეულმა“... იაკინთემ თავი გაინთავისუფლა მიწისაგან, პერანგი გაჰხია და ჭრილობას მოუჭირა, სისხლის დენა შეანელა, არ იყო სასიკვდილო. დახოცილები მისწი-მოსწია, მამა მონახა, გადაეხვია, წმინდანივით თეთრწვერებს ეამბორა და პატიება სთხოვა უდანაშაულომ. შემდეგ სათითაოეულად მიწა მიაყარა ყველას მზრუნველად.

* * *

რიჟრაჟი მოახლოვებული იყო... იაკინთემ სხეული ძლივს შეათრია მეთევზის ქოხში. მეთევზე მოეპატრონა ბედკრულს, მოუსვენა, გაათბო, ჭრილობა მალამოთი მოულბო, აჭამა, ასვა.

— რომ მოღონიერდები, — წახვალ, თორემ შენც დაიღუპები და მეც! სთქვა მეთევზემ, სისხამ დილით ბადით ხელში რომ დასტრიალებს მდინარეს ლარი-ანკესებით გახელებული.

— სვანეთს წავალ, მთებს შევეფარები, მიმიღებს, თავს გავიტან! სთქვა იაკინთემ და ღამის წყვდიადში შთაინთქა ვაჟი გულდაკოდილი, გონება დაძრული. მეთევზეს ღიმილით გამოეთხო-

ვა. მიდიოდა და იცინოდა ვაჟი ბედკრული, საოცრება გამოვლილი. თენდებოდა სახლში რომ შევიდა.

— ხომ არაფერი გაგიგია მამაშენის! ჰკითხა დედამ. იაკინთე ხმას არ იღებდა.

— მითხარი შვილო, ცოდვა-მადლი ხომ არ დატრიალებულა ჩვენს თავზე?

თავს ევლებოდა დედა...

იაკინთე სდუმდა და იღიმებოდა.

— რატომ არაფერს ამბობ დედა გენაცვალოს!

— რა უნდა გითხრა!

ჭრილობა შეამჩნია, შეჰკივლა უბედურად.

მიშველეთ!

— მამა გათავდა, დედი... მხოლოდ მისი უკანასკნელი ამონაკვნესი იყო: „ნეტარ არიან მორწმუნენი სულითა... და მოისვენა სამუდამოდ.

იაკინთე ქადაგქცეულივით წარა-მარა ამბობდა:

„ნეტარ არიან მშვიდნი სულითა... რამეთუ მათი არის სასუფეველი ცათა...

— შვილო, ავი ზნე ხომ არ შეგემთხვა!

— იყურე დედილო... აგერ, ხომ ჰხედავ, ცა რო გაიხსნა, ცისკარი... გესმის ქერუბიმთა გალობა... მამა კიბეზე სდგას და მრევლს ამწყალობლებს... აი დედი, ჩვენი ლამაზი კუთხე... ლამაზი და შვენიერი, ისე ვით საქართველო... ღვთისმშობლის წილი, მაგრამ ღვთისმშობელი არ მოვა, გაჯავრებულია, გულმოსული...!

— მიშველეთ ვინმემ! შეჰკივლა გაუბედურებულმა დედამ.

იაკინთე ხატზე გადაცემულივით იდგა და გაუგებლად ლაპარაკობდა

— არა, მე არ მისვრია ტყვია მამისათვის... ისე კი უნდა მომეკლა... მიბრძანეს და უნდა მომეკლა, მაგრამ არ მომიკლავს, მე თვით მომკლეს ავაზაკებმა... ჩემი თავი მაშინ აკლდამაში გაგორდა და ალიბუხარს შეექცეოდა... ალიბუხარს, ჩვენს ბაღში რომ იზრდება დედი... ჰო მართალია, ეხლა არ იზრდება ალიბუხარი ჩვენს ბაღებში, დასჭკნა, ჩრდილოდან მონაბერმა ქარმა დააჭკნო... მე ეხლა უთავო ვარ... მაგრამ ვლაპარაკობ. ეხლა ჩვენში თავი არავის აქვს უგებრად ლაპარაკობდა:

შორიდან მუსიკის ხმა მოისმოდა, გარედ ზეიმი ჰქონდათ გამარჯვებულებს და შინ კი ტანჯვა იყო... აგერ, ქუჩებში როგორ ღმუიან მშიერი ძაღლები, ბავშვებიც დაკონკილ პერანგით დარბიან კარდაკარ... მინდვრებში საამო სიმღერა არ ისმის... ბაღებიც გაცარცულია, გულჭრელა ჩიტუნებიც არავის ატკბობენ თავიანთი გალობით, მხოლოდ ტყეში, ეკალ-ბარდით დაბლანდულ ტყეში ფერმკრთალი ალები დავლიურს უვლიან სევდიანი ხმით...

მინდია ლაშაური.

## საქართველოს ამბები

«Гигант страдает от пигмея
Властитель гибнет от раба
И часто гнусного злодея
Венчает лаврами судьба».

მთელი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირში შეუწყვეტელი დენაა სხვადასხვა დელეგაციების. მოდიან საზოგადოების ყველა ფენებიდან, დაწყებული მუშებით და გათავებული მწერალ-მხატვარ პროფესორებით. მოდიან ყველა ადგილებიდგან. ამ ბოლო დროს კი უმეტესად აზიის ქვეყნებიდგან. ამ დელეგაციების მოწვევა, მიღება და ქალაქიდგან სოფელში და სოფლიდგან ქალაქში ტ ა რ ე ბ ა ჩინებულად არის მოწყობილი. დელეგაციის შერჩევაში მონაწილეობას იღებს, რასაკვირველია, იმ ქვეყნების კომუნისტური პარტია, საიდგანაც არის დელეგაცია. ყველა დელეგაციას მეთაურობს სხვადასხვა „საქმეში" გამოცდილი კომუნისტი. სრულიად არაა სავალდებულო დელეგაცია შესდგებოდეს მხოლოდ კომუნისტებისაგან. პირიქით, საუმჯობესოდ არის მიჩნეული რომ დელეგაციაში რაც შეიძლება მეტი იყოს თანამგრძნობნი, ე. წ. კომუნიზანები.

მოსვლისას დელეგაციას ხვდება სპეციალურად ამისათვის დანიშნული პირი, რომელიც მიიღებს მას შესაფერი სიტყვით, დააბინავებს და მის გაძღოლას შემდეგში გადასცემს რომელიმე გაქნილ ჩეკისტს, რომელმაც წინ და წინ იცის, ვინ სად წაიყვანოს და როდის. დელეგაციის დასათვალიერებლად დანიშნულია კავშირის სხვა-

და სხვა ადგილას, როგორც ქარხანა, ისე კოლხოზი. და უნდა ითქვას, ყველა ეს ქარხნები და კოლხოზები მართლაც სანიმუშოთაა მოწყობილი. აქ ყველაფერი მეტის-მეტი სიზუსტით არის გათვალისწინებული. გამგენი და მომუშავენიც საუცხოვოთ არიან გაწრთვნილნი. მათ კარგად იციან, ვის რა და როგორ უპასუხონ. აქ არ შეიძლება „გაფი“, წამოცდენა, იმპროვიზაცია. და თუ რომელიმე დელეგატი კიდევ ყოყმანობდა, არ სჯეროდა და სხ., ამ დათვალიერების შემდეგ უკვე მთელი ასი პროცენტით რწმუნდება, რომ საბჭოთა კავშირი მართლაც სამოთხეა კაპიტალისტური ქვეყნებთან შედარებით და რაც მის შესახებ უცხოეთის პრესაში იწერება—არის ცილისწამება და მეტი არაფერი.

მართალია ეს დელეგაციები ძალიან ძვირათ უჯდება კავშირს, მარა პროპაგანდის თვალსაზრით, ის უეჭველათ გამართლებულია. დაბრუნებული დელეგაციის წევრები აქტიური პროპაგანდისტები ხდებიან საბჭოების სასარგებლოთ და შექმნილ პირობებში ამას, უეჭველათ, დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოებისათვის.

თითქმის ყველა დელეგაცია მოსკოვიდგან პირდაპირ საქართველოში მოდის. ან კი რა ენაღვლებათ! გზა უფასო, საჭმელ-სასმელი უფასო და თან კიდევ მშვენიერი ქვეყნის ნახვა. საბაბიც სამოგზაუროთ მეტად საპატიო აქვთ: ნახვა იმ „წმინდა ადგილის“, სადაც დაიბადა „კაცობრიობის მამა“ და „უსაყვარლესი ბელადი“. თუ რამდენათ მასიური ხასიათი მიიღო ამ „თაყვანისცემამ“ სჩანს იქიდან, რომ იმ სახლში, სადაც დაიბადა სტალინი, არსებობს მნახველთა ხელის მოსაწერათ წიგნი, რომლის 16 ტომი (500 გვერდი თვითეულში) უკვე გავსებულია. ვინ გინდა ამ წიგნებში არ ეწეროს: ინდოელი პოეტიდან—ამერიკის არქი-კაპიტალისტამდე.

არამც თუ გორი, ცნობილი გახდა ისეთი სოფელიც კი, როგორცაა დიდი-ლილო და გახთა იმით რომ, აქ თურმე ცხოვრობდა ოდესღაც სტალინის მამა, ლოთი და კრეტინი მეწაღე ბესარიონ ჯუღაშვილი. მოდი და ნუ დაუჯერებ იმათ, ვინც ამბობენ — ამ ქვეყნათ ყველაფერი შესაძლებელია და არაფერიც არ უნდა გაგიკვირდესო. თუ ასეა, არც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ ვინმე მ. დავითაშვილი, თავის წიგნში, რომელიც შარშან გამოვიდა, სერიოზულათ გვიმტკიცებს, რომ სტალინს ჯერ კიდევ ბავშობაში, ე. ი. „გასული საუკუნის მე-90 წლებში, ილია ჭავჭავაძის „ივერია“-ში დაუბეჭდია ლექსი „დილა“, რომელიც თურმე იწყება ასე: „გაიფურჩქნე მშვენიერო ქვეყანავ, გიხაროდეს საქართველოს მხარეო“. ლექსზე თავის სახელის მაგიერ მოუწერია ფსევდონიმი — „სოსელო“. იმავე დავითაშვილის მტკიცებით ამ ლექსის ერთი ნაწილიდან შექმნილა თურმე საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი! ეს მართლაც არ უნდა გაგვიკვირდეს, რადგან დაქირავებულ კალამს კიდევ უარესის შეთხვზა შეუძლია!

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ დელეგაციას. რადგან დელეგაციის ხეტიალს საბჭოთა კავშირის სოფელ-ქალაქებში მხოლოდ და მხოლოდ საპროპაგანდო ხასიათი აქვს და ისიც საგარეოსათვის დანიშნული, ცხადია, დელეგაციის წევრებს, პირველ ყოვლისა, უნდა აინტერესებდეთ ისეთი საკითხი, რომელსაც ამისათვის ყველაზე მეტი ღირებულება აქვს. ასეთია მუშათა საკითხი და მათი საერთო ყოფა-ცხოვრება. და აი, დელეგაციის წევრებსაც უჭირავს ხელში უბის წიგნი და პირველსავე შეხვედრაზე აპლომბით უდგებიან გამოკითხვას: როგორ ცხოვრობ, რამდენს იღებ ხელფასს, რამდენ საათს მუშაობ, რა ღირს პური, ტანსაცმელი, ბინა და სხვა ასეთები. პასუხს აძლევენ, რასაკვირველია, წინ და წინ ამისთვის დანიშნული პირები.. დელეგაციის წევრები ყოველივე ამას იწერენ, თან ეცნობიან ოფიციალურ დადგენილება-განკარგულებებს და დიდი უმეტესობა მიდის იმ დასკვნამდე, რომ საბჭოთა კავშირში მუშათა საკითხი მართლაც რომ იდეალურათ არის მოგვარებული; რომ კაპიტალისტური ქვეყნებთან შედარებით აქ მართლაც „სამოთხეა“.

ასეთი დასკვნისთვის უნებლიეთი შეცდომა, თუ უნებლიეთი გაუგებრობა, არაა გასაკვირი, რადგან ყველაფრიდან სჩანს, რომ საბჭოთა კავშირის შესახებ უცხოელი ახლაც ისე მსჯელობს, როგორც ამ 30 წლის უკან. რაც ამ ხნის განმავლობაში დედა-მიწის ამ მეექვსედ ნაწილზე მოხდა — ყოველივეს მის გვერდით ჩაუვლია. ის ახლაც იმავე ტერმინებით და კატეგორიებით აზროვნებს, როგორც მაშინ. იმავე შინაარსს სდებს ამ ტერმინებში, როგორც წინეთ; იმავე საზომით ზომავს აქაურობას, როგორც თავის ქვეყანაში და რა გასაკვირალია თუ მისი დასკვნები სრულიად არ უდგება საბჭოთა სინამდვილეს. ჰეგელს უთხრეს ერთხელ:—თქვენი დასკვნები არ ეთანხმება ფაქტებსო; მით უარესი ფაქტებისათვისო — უპასუხა მან. სწორეთ ასე იქცევიან უცხოელები და რომ ეს „უარესი“

მარტო ფაქტებს შეეხებოდეს — კიდევ გაუძლებდა კაცი. მარა, სამწუხაროთ, ის საბედისწერო ასეული მილიონი ხალხისათვის და ამიტომაა რომ ყველა ამ დელეგატების რეპორტაჟები საბჭოთა კავშირის შესახებ ასეთ გულისტკივილს იწვევს კავშირის მთელ სივრცეზე.

ევროპაში იყო და არის მუშა; იყო და არის გლეხი; იყო და არის მექარხნე; იყო და არის მემამულე. საბჭოთა კავშირში ასეთი ცნებები დიდი ხანია აღარ არსებობენ. აქ არ არის მუშა იმ გაგებით, როგორც იყო წინეთ და ახლაც არის უცხოეთში. აქ ყველა მუშაა, მუშაობის გარეშე არ შეიძლება იყოს ვინმე. ცვალებადია ფორმა და ადგილი სამუშაოსი, მარა თვით შრომა კი სავალდებულოა ყველასათვის. ზერელე მეთვალყურეს ისიც ეჩვენება თითქოს აქ არსებობდეს შრომა იძულებითი და შრომა ნებაყოფლობითი, თავისუფალი. და როცა ამბობს „იძულებითს", სახეში აქვს ლაგერები და მათი შრომა. ეს, რასაკვირველია, სწორი არაა. საბჭოთა კავშირში ყოველგვარი შრომა იძულებითია, ლაგერი თუ ქარხანა სცვლის მხოლოდ შრომის ხასიათს და არა მის უფლებას; შრომა შრომაა. ყველა კაცი სამუშაოზე, ყველა ყოველნაირ სამუშაოზე. ვინც არ მუშაობს არ სჭამს, — აი ის უნივერსალური ლოზუნგი, რომელიც შეიცავს მთელ მუშათა საკითხს, მთელი მისი უფლებებით და შინაარსით.

იძულებითია სამშრომო ადგილების განაწილებაც. განაწილებისათვის კი შექმნილია საკუთარი დაწესებულება, რომელსაც ეწოდება „მუშათა რეზერვების სამინისტრო". ამ სამინისტროს ყავს ყველგან თავის აგენტები, რომელთა მეშვეობით აღრიცხვაზეა აყვანილი მთელი კავშირის მუშა-ხელი. თუ რა მნიშვნელობისაა ეს სამინისტრო, სჩანს იქიდან, რომ 1951 წელს მის განკარგულებაში იყო „40.8 მილიონი მუშა-მოსამსახურე". ყველა ადგილებიდან ამ სამინისტროს სთხოვენ მუშა-ხელს და ისიც ანაწილებს მას. ამ განაწილებას ესწრება უთუოთ ჩეკას წარმომადგენელი თავის „დოსიებით. და აქ იწყება სასტიკი გაცხრილვა. პოლიტიკურათ უფრო შენიშნულნი იგზავნებიან პოლიარულ და ციმბირის მხარეში, უფრო ნაკლებათ შენიშნულნი ცოტა უფრო ახლო, ხოლო „მოსალოდნელი დამნაშავენი" (არსებობს ასეთი რუბრიკაც) იგზავნებიან შიგნით, რესპუბლიკებში, სხვადასხვა ორგანოების დასაკმაყოფილებლათ. საქართველოში მყოფ რუსთა დიდი უმეტესობა არის ამ კატეგორიიდან. არიან ლაგერის ხალხიც ე. ი. დასჯილნიც, მაგრამ შედარებით ძლიერ ცოტა, სულ 4-5 ათასი რუსთავის ქარხანაში. იშვიათად შეხვდებით აქ ცოტათ თუ ბევრათ მნიშვნელოვან ცენტრს, რომ ასეთი რუსები არ იყვნენ ასობით, ზოგან ათასობითაც (ქალაქებში). აქ ყველას რუსს ეძახიან და მათ ისეთ სოფლებშიაც შეხვდებით, სადაც წინეთ რუსი არც კი ენახათ. სოფლებში ისინი მუშაობენ კოლხოზებში, იმავე შრომა დღეზე, როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი. იღებენ მონაწილეობას კოლხოზის ყოველ-დღიურ ცხოვრებაში, მარა ენის უცოდინარობის გამო თვალსაჩინო აქტივობას ვერ იჩენენ. როცა ამათი დახმარებით ესა თუ ის კოლხოზი თავის ჩამორჩენილობას გამოასწორებს, თუ ყველა არა, ნაწილი მაინც იგზავნება სხვა კოლხოზში. თუ ქარხანა, ან ელექტრონის სადგური, ან სხვა ასეთი რამაა ასაშენებელი — მოჰყავთ ასობით ყველა დარგის მუშა და როცა მშენებლობა დამთავრდება, ყველანი იგზავნება იქ, სადაც აღმოჩნდება მათი საჭიროება. ყველა ესენი ცხოვრობენ ისეთსავე პირობებში, როგორც ადგილობრივნი. მათ, რასაკვირველია, არ შეუძლიათ რაიმე საკუთრება გაიჩინონ, რადგან ასეთი რამ საზოგადოთ არ არსებობს. იტანენ საერთო გაჭირვებას სხვებთან ერთად და სალამოობით ხშირათ მღერიან თავის ქვეყნის სიმღერებს და მის ნაღვლიან ჰანგებში ჰკლავენ თავის სამშობლო ქვეყნის და თავის წარსული ცხოვრების მწარე მოგონებას.

საქართველოში მომუშავეთა დიდი უმეტესობა არიან **უკრაინელები**. აღსანიშნავია, რომ ამათ არავითარი კავშირი არ აქვთ უკრაინის მთავრობასთან და არც იმას ამათთან. როცა ვინმე უკრაინელი დიდი კაცი ესტუმრება საქართველოს, ის არც კი მოისურვებს ა მ ა თ ნახვას, არც იკითხავს ამათ ამბავს. და ასე — ეს ხალხი, გადმოყრილი მოსკოვის მიერ ამ სხვის ქვეყანაში, ცხოვრობენ „ღვთის ანაბარათ" და „ჩეკას წყალობით", დაეხეტებიან სოფლიდან სოფლათ და არავითარი პერსპექტივა შინ დაბრუნების, არავითარი იმედი რომ ერთ ადგილას სადმე მაინც მოიკალათებენ, არავითარი წარმოდგენა იმისა, თუ რას უმზადებს ხვალინდელი დღე. ჭეშმარიტათ, „სადაურსა სად წაიყვან, სად გაუთხრი სამარესა". როგორც ამბობს პოეტი.

ამ მასიურმა აყრამ და შეუწყვეტლივ მოძრაობის პროცესში ყოფნამ, უდიდესი გავლენა მო-

ახდინა, რასაკვირველია, მცხოვრებთა სოციალურ-ეკონომიური ყოფა-ცხოვრებაზე. მან სრულიად დაანგრია ის სოციალური წყობა, რომელზედაც აგებული იყო წინანდელი ცხოვრება. საუკუნეების განმავლობაში ჩამოქნილ-ჩამოყალიბებული ტიპი სოფლისა, ოჯახისა და მათი ურთიერთობისა სრულიად გაქრა და მის ადგილას მყარდება რაღაც ისეთი, რომლის გამოცნობა ჯერ კიდევ მეტად ძნელია...

***

წინანდელი გაგებით შრომა ქმნიდა ზედმეტღირებულებას. ამ ზედმეტღირებულებას ითვისებდა კაპიტალისტი და მით ზრდიდა თავის სიმდიდრეს. ქმნის თუ არა დღეს შრომა საბჭოთა კავშირში ზედმეტღირებულებას და თუ ქმნის ვინ იყენებს მას? კერძო არც კაპიტალისტი და არც მემამულე აღარ არსებობს. რომ თეორია ზედმეტი ღირებულების სწორია — ამას ყოველ დღე თვით კომუნისტური ხელისუფლება ჩაგვჩიჩინებს. ცხადია, ამ ზედმეტღირებულებას ვიღაც ითვისებს. ვინ არის ეს ვიღაც? **ეს არის სახელმწიფო.**

ოქტომბრის გადატრიალებით კავშირის ყოველგვარმა სიმდიდრემ თავი მოიყარა სახელმწიფოს ხელში. ყოფილი მემამულის და მექარხნის ადგილი დაიკავა სახელმწიფომ, შეიცვალა ადრესი, მაგრამ თვით შრომის გაყიდვა თუ მუშის ხელფასის განსაზღვრა არც მოსპობილა და არც შეცვლილა. ის ჩადგა მხოლოდ ახალ ეკონომიურ ურთიერთობაში ახალ დამქირავებელთან.

მარქსის მოძღვრებით, რომლის სახელითაც ამდენი სისაძაგლე ხდება დღეს საბჭოთა კავშირში, სახელმწიფო მუდამ იყო ორგანო კლასიური, მორჩილი და მოსამსახურე გაბატონებული კლასის, მისი ინტერესების დასაცავი ძლიერი იარაღი და სხ. როცა მუშათა კლასი დაიპყრობს ხელისუფლებას, მან კი არ უნდა **დაანგრიოს** სახელმწიფო, არამედ გარდაქმნას სახელმწიფო მანქანა და ის „გახადოს საზოგადოების მორჩილ ორგანოთ". კომუნისტურმა პარტიამ, ნაცვლად იმისა, რომ სახელმწიფო საზოგადოებისათვის დაემორჩილებია, როგორც ამას მარქსის მოძღვრება ავალებდა, იმავე მარქსის სახელით, შექნა საზოგადოებისაგან სრულიად დამოუკიდებელი ისეთი სამხედრო-ბიუროკრატიული სახელმწიფო, რომლის მსგავსი ისტორიას არც კი ახსოვს.

და აი ასეთ სახელმწიფოს ხელში თავი მოიყარა ქვეყნის მთელმა სიმდიდრემ და ამან უკვე განსაზღვრა სახელმწიფოს და შრომის ურთიერთობა. ვაჭრობა-მრეწველობის და მიწების სახელმწიფოს ხელში გადაცემამ საბჭოთა სახელმწიფო გახადა აბსოლიუტური კაპიტალისტათ. თავისთავად, სახელმწიფო საკუთრება სრულიად არ უარყოფს კაპიტალისტურ ექსპლოატაციას. პირიქით, რამდენათ მეტი საწარმოო ძალა იყრის თავს სახელმწიფოს ხელში, იმდენათ უფრო ძლიერია მის მიერ მოქალაქეთა გაყვლეფა. შრომა რჩება იმავე დაქირავებულ შრომათ და მის მიმართ კაპიტალისტური ურთიერთობა არას შემთხვევაში არ ისპობა. პირიქით, კიდევ უფრო ძლიერდება. კიდევ უარესი ისაა, რომ დიდ უმეტეს შემთხვევაში სახელმწიფო საკუთრება ხდება სათავეთ ხელისუფლების დესპოტიურ განვითარებისა. სწორეთ ასე მოხდა საბჭოთა კავშირში. ამ უნახავი და გაუგონარი ტირანიის სათავეთ და წყაროთ გახდა ის უამრავი ქონება, რომელმაც თავი მოიყარა მის ხელში, როგორც საკუთრება.

***

ცნობილია რომ ყველა ექსპლოატატორულ საზოგადოებაში შრომა არის დამცირებული, დამორჩილებული, უნებური და მას არ მოაქვს მშრომელთათვის არც პატივი და არც დაკმაყოფილება. საბჭოთა კავშირმა ყველა ეს სიდუხჭირე ათასჯერ უფრო გააძლიერა მით რომ შრომის ექსპლოატაციის ადგილას შექმნა ნამდვილი სახელმწიფო მონობა. ხელისუფლება შეიჭრა საზოგადოების ყველა სფეროში, მისი კონტროლი და ჩარევა ინტიმურ ცხოვრებაშიაც კი განუსაზღვრელი შეიქნა. მოქალაქის ყველა ნაბიჯი, დაბადებიდან სიკვდილამდე თავის სურვილს და განწესრიგებას დაუმორჩილა. რა ჭამოს, რა სვას, რა ჩაიცვას, სად წავიდეს, რა იწამოს, რა აქოს და რა აძაგოს, რა ისწავლოს და რა ილაპარაკოს, რა ქონდეს და რა პროფესია აირჩიოს და სხვადასხვა - ყოველივე ეს სასტიკათ არის განწესრიგებული. თავისუფლება სიტყვის, რწმენის, კავშირების და კრებების გამოცხადებულია „ბურჟუაზიულ ცრუმორწმუნოებათ". გამეფებულია გაუგონარი თვითნებობა მართველობის ერთი მხრით და გაუგონარი მონობა მცხოვრებთა მეორე მხრით. ის რაც აქ სახელმწიფო კაპიტალ. სისტემის სახით დამყარდა, წარმოადგენს პირწმინდა ძველი ბაბილონის, თუ

ძველი ეგვიპტის, თუ ძველი სპარტის სამეურნეო სისტემის განმეორებას და რა გასაკვირია თუ მშრომელი მასები ჩაცვივნდენ ისეთ მდგომარეობაში, როგორშიაც იყვნენ მონები და ყმები ეგვიპტეში, მონები და ილოტები საბერძნეთში, ინდოელები იეზუიტების სახელმწიფოში (პერუ).

ოქტომბრის გადატრიალებით კომუნისტურმა პარტიამ ხალხს იდეალური სახელმწიფოს შექმნა აღუთქვა, სინამდვილეში კი მისცა ლატაკი და დესპოტიური ყაზარმა. აღუთქვა შრომის გაყვლეფისაგან განთავისუფლება, დაუმკვიდრა-კი კერძო კაპიტალზე ათასჯერ უფრო ძლიერი ყვლეფა. გამოაცხადა პროლეტარიატის დიქტატურა — შექმნა-კი ავანტიურისტების ხელისუფლება, რომელსაც არც ცხოვრებით, არც შეხედულებით, არც მისწრაფებებით, არც გემოვნებით არაფერი საერთო არ აქვს პროლეტარიატთან. შეპირდა თანასწორობას — დაამყარა არნახული უთანასწორობა. გამოაცხადა მიწა გლეხსო — მაგრამ მიწის მოსავალი თვითონ მიაქვს და სხ. და სხ. ერთი სიტყვით, მისი დაპირებიდან დარჩა მხოლოდ მჭვარტლი და ტირანული ხელისუფლება.

მოდი და ამის შემდეგ გაუმტყუნე ხალხს, როცა ამბობს: „მოგვიკვდეს თუ გინდ ეშმაკი, ოღონდ ესენი მოგვცილდესო“!

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა მიხვდა, რომ მის მიერ დამყარებული მუშებისადმი ურთიერთობის დაცვა და გამართლება ძველი ჰანგებით უკვე აღარ შეიძლება და აი შეთხზეს ახალი „თეორია“, რომელსაც ასეთი ვირტუოზობით ანვითარებენ და ზოგიერთებს ახალ სიტყვათაც მოეჩვენიათ.

საბჭოთა პირობებში — სწერენ და ქადაგებენ ისინი — მშრომელთა ინტერესების დაცვა ევალება სახელმწიფოს, მაგრამ სახელმწიფო ხომ თვით მუშებს ეკუთვნის, ამიტომ ბრძოლა სახელმწიფოს წინააღმდეგ არის ბრძოლა თავისთავის წინააღმდეგ. გაფიცვები და სხვა ასეთი საშუალებები სჭირდება მუშათა კლასს იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს კერძო საკუთრება, რომელიც ერთადერთი პასუხისმგებელია მშრომელთა წინაშე; მაგრამ ჩვენში, საბჭოთა კავშირში, ხომ კერძო საკუთრება აღარ არსებობს, აქ ხომ ყველაფერი თვით მუშათა კლასს ეკუთვნის, აქ ხომ თვითონ მუშებია ყველაფრის ბატონ-პატრონი და თავისთავის წინააღმდეგ მოთხოვნილებათა წამოყენება—აბა სად გაგონილა! აქ საჭიროა საერთო შემოსავლის მხოლოდ რაციონალურად განაწილება და თუ ამ განაწილების პროცესში, მუშათა პიროვნული ყოფაცხოვრების გამაუმჯობესებელი წილი მცირეა, ამაში დამნაშავეა არა მართველი პარტია, არამედ ის კაპიტალისტური გარემოცულობანი, რომლებიც იძულებულს ყოფენ საბჭოთა ხელისუფლებას კავშირის შემოსავლის უდიდესი ნაწილი ხარჯონ ისეთ რამეებზე, როგორიცაა ომი. ამიტომ თუ მუშებს უნდათ თავის ნაშრომში მხოლოდ მათ საჭიროებაზე იხარჯებოდეს, პირველ ყოვლისა, უნდა მოიცილონ თავიდან ის კაპიტალისტური ქვეყნები, რომლებიც მის სოციალისტურ სამშობლოს ემუქრებიან. ომი შიგნით გათავდა, მაგრამ ომი საგარეო კარზე გვიდგია. ომისთვის მზადება კი ნთქავს საერებულ ქონებას უნაყოფოთ. აი საიდან წარმოსდგება ის უმწეო მდგომარეობა, რომელშიდაც საგარეო მუქარამ ჩააყენა მთელი მშრომელი ხალხი. მუშებმა უნდა იცოდენ, რომ საბჭოთა სახელმწიფო კი არ უპირდაპირდება მათ, როგორც ეს არის კაპიტალისტურ ქვეყნებში; კი არ ეწინააღმდეგება ხალხს, პირიქით, ემსახურება მას. ჩვენში ყველა მუშას და ყველა გლეხს შეუძლია სრული უფლებით სთქვას: „ეს ჩემი სახელმწიფოაო“. ამიტომ დაასკვნიან — „თვითეული მომუშავე, იქნება ის მაღალ თუ დაბალ თანამდებობაზე, ყველაზე მაღლა უნდა აყენებდეს სახელმწიფოს ინტერესებს, მტკიცეთ უნდა იცავდეს სახელმწიფოს დისციპლინას“... „საბჭოთა მომუშავესათვის თავის სახელმწიფოს ინტერესები ყველაფერზე მ ა ღ ლ ა ა. პარტიული ორგანიზაციების უმთავრესი ვალდებულებაა აღზარდონ კადრები უდიდესი შეგნებით სახელმწიფოს დისციპლინისა და ასეთი მოთხოვნილებებით უნდა გამსჭვალონ როგორც თვითონ, ისე მათი ხელქვეითები“-ო და სხ. და სხ.

სახელმწიფო კერპი, ყოვლის შემძლე, ყველაფერი მისთვის და მისი გაძლიერებისთვის. აი ის დოგმა, რომელსაც ამოეფარა ყოველ სფეროში გაკოტრებული კომუნისტური იდეოლოგია.

მარქსისტული გაგება — სახელმწიფო კლასიური ბატონობააო, სადღაც გაქრა და მის ადგილას წამოყენებული იქნა ისეთი სახელმწიფო, რომელიც ემორჩილება და ემსახურება არა საზოგადოებას, არამედ ერთ მუჭა კომუნისტ ავანტიურისტებს, რომლებმაც თავის ბატონობის გასამტკიცებლათ და დასამკვიდრებლათ იმდენი ადამიანთა სიცოცხლე შეიწირეს და დღეს კიდევ მის გასაგრძელებლათ ასეთ მსხვერპლს ით-

ხოვენ წარმოუდგენელ გაჭირვებაში მყოფ ხალხისაგან. მაგრამ დღეს ყველასათვის ნათელი გახდა სიყალბე ამ სახელდახელოთ შეხანხლილ თეორიისა. დღეს ყველასათვის ადვილი დასანახი შეიქნა ის დუხჭირი სინამდვილე, რომელიც ამ მყვირალა ფრაზებს უკან არსებობს და რომელშიდაც ათრევს თავის უნუგეშო ცხოვრებას მთელი ხალხი. და რომ ყოველივე ეს უცხო თვალისაგან დამალონ, ხელისუფლება ერთის მხრით აძლიერებს რკინის ფარდას, ხოლო მეორე მხრით ქაღალდზე გამოაქვს ისეთი დადგენილებები მშრომელთა ინტერესების დასაცავათ, რომლებიც მართლაც სანიმუშოთ შეიძლება ჩაითვალოს. მაგრამ ყოველივე ეს იწერება მხოლოდ საექსპორტოთ, გარეთ გასატანათ, გულუბრყვილოთა თვალის ასახვევათ და არა საშინაოთ, ყოველდღიურ საქმიანობაში გამოსაყენებლათ. ამ ქაღალდზე დადგენილებით მშრომელთა როგორც უფლებები, ისე მისი ხელფასი და სამუშაო დრო სასტიკათ არის განსაზღვრული, მუშათა ინტერესები მართლაც მაქსიმალურათ არის დაცული. არავის არ აქვს უფლება ის დაარღვიოს. და თუ ვინმე დაარღვევს — სასტიკათ დაისჯება. მაგრამ, თუ მშრომელმა თვით დაარღვია და თვითონ თავის ნებით მოისურვა „მისი საკუთარი სახელმწიფოს „დახმარება“ ვინ დაუშლის? პირიქით. აი აქ იწყება ის უდიდესი თაღლითობა, რომლითაც საბჭოთა ხელისუფლება ერთი დაკვრით ორ მიზანს აღწევს: ერთი მხრით, გარეგნულათ, გამოდის როგორც ნამდვილი დამცველი მუშათა ინტერესების, ხოლო მეორე მხრით, არსებითად, როგორც მისი უსაშინელესი ექსპლუატატორი და მჩაგვრელი. როგორი აწყობს ამას?

როგორც ყოველგან საბჭოთა კავშირშიაც არსებობს პროფ. კავშირი ყველა დარგის მუშამოსამსახურეთათვის. კავშირი იმუშავებს ხელფასის ნორმას და საზღვრავს სამუშაო დროს. ამას ადასტურებს სახელმწიფო გეგმის კომიტეტი. ამის შემდეგ ის სავალდებულო ხდება ყველა დარგის წარმოებისათვის. ამ ბოლო დროს კიდევ კოლხოზებისათვისაც. თვით საგეგმო კომიტეტი თავის ხუთწლიანი გეგმის შედგენის დროს ხელმძღვანელობს და ეყრდნობა ამ წესებს და ხუთწლედებში მუშათა ინტერესები, როგორც სამუშაო დროით, ისე ხელფასით, მაქსიმალურათ არის დაცული. სანიმუშოთ მოვიყვანთ ორიოდე მაგალითს: დრო მუშაობისა, მცირედის გამოკლებით, განსაზღვრულია ექვსი საათით. ხელფასიც (დარგების მიხედვით) ისეთია, რომ მუშას მართლაც შეუძლია იცხოვროს რიგიანათ. კოლხოზებშიაც შემოღებულია სავალდებულო ნორმები. მაგ. ჩაის კრეფაში შრომისდღეზე — 15 კილო, ბარვა - მარგლა — 3-5 მეტრი საათში და სხ. ერთი სიტყვით ყველაფერი რიგზეა, ყველაფერი გათვალისწინებულია და მუშათა ინტერესები თითქმის ყოველი მხრივ სავსებით დაცულია და მისი თვალყურისდევნება ევალება ხელისუფლების სხვადასხვა აგენტებს. აი ესაა რომ ხიბლავს ყველა დელეგაციას, აი ესაა რომ სანიმუშოთ გააქვთ უცხოეთში და დიდის ნაყოფიერებით იყენებენ საბჭოთა რეჟიმის სადიდებლათ. ამის იქით დელეგაცია არ იხედება და მწარე სინამდვილე კი სწორედ ამ ოფიციალური ფარდის იქით იწყება. ეს სინამდვილე კი პარტიამ და მისმა აგენტებმა შეგნებულათ შექნეს. ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული შემოსავალი ვერ დაფარავდა, რასაკვირველია, იმ უთავბოლო გასავალს, რომელიც აქვს კავშირს. საჭირო გახდა შემოსავლის გადიდება, მაგრამ ისე, რომ შემუშავებული გეგმა ხელუხლებელი დარჩენილიყო. ამისთვის იქნა გამოგონებული სტახანოვშჩინა და შეჯიბრება, რომლის საშვალებით ორივე მიზანს სავსებით მიაღწიეს. ე. ი. არც ხუთწლიანი სახელმწიფო გეგმა დარღვეულა და შემოსავალიც ზოგიერთ შემთხვევაში ერთი - ორად და ზოგან კიდევ მეტად გაზარდეს.

როგორც სტახანოვშჩინას, ისე შეჯიბრების არსებითი შინაარსია ზედმეტი შრომა „უსასყიდლოთ და ნებაყოფლობით, თავის სურვილით“. პარტიის იდეოლოგების მტკიცებით არც ერთი და არც მეორე არ არის ფორმა შრომის ექსპლუატაციისა, ის არის „მხოლოდ გამოთქმა ახალი სამეურნეო ურთიერთობის, ახალი საბჭოური ამხანაგური სოციალისტური ურთიერთობის კვალიფიკაცია. სოციალისტურ შეჯიბრში მშრომელნი გამოდიან, როგორც პატრონი წარმოების, როგორც აქტიური საზოგადო მოღვაწენი, როგორც მონაწილენი საბჭოთა სახელმწიფოს სამეურნეო ორგანიზატორული მოღვაწეობის. ჯიბრში ჩნდებიან და იზრდებიან ახალი კადრები“ და სხ. და სხ.

სტახანოვშჩინა პირველ ხანებში იყო ინდივიდუალური წამოწყება. ერთი ვინმე იკისრებდა ნორმაზე ზედმეტის დამუშავებას და მით აწესებდა ახალ ნორმას. ამას ეძახდენ „თავისუფალ ნორმას“. შემდეგ ეს ნორმა ხდებოდა აგიტაციის

სარეკლამო საგანით და ყველა დარგში ჩნდებოდენ მიხალისენი. როცა სტახანოვშჩინა საყოველთაო გახდა და მის მიერ მიღწეული ნორმა საკმარისად არ იქნა ცნობილი — გაჩნდენ იმავე წესით კიდევ ზედმეტის გამკეთებელნი. თანახმად ამისა სტახანოვშჩინამ მიიღო სხვადასხვა რანგი: უბრალო სტახანოვშჩინა (პირველი ნორმა), სტახანოვშჩინა პირველი რანგის (მეორე გადიდებული ნორმა), მეორე რანგის — (კიდევ უფრო გადიდებული ნორმა) და მესამე რანგის — (უკანასკნელი ნორმა). ამით დასრულდა სტახანოვშჩინას საექსპლოატაციო ხანა და სცენაზე გამოვიდა შეჯიბრი.

შინაარსი შეჯიბრისა არის იგივე „ნებაყოფლობით საქონლის დამზადება“. მაგრამ განირჩევა სტახანოვშჩინიდან, პირველ - ყოვლისა, იმით, რომ სტახანოვშჩინა წარმოშობის დროს იყო ინდივიდუალური ხასიათის, შეჯიბრება კი პირველი დღიდანვე კოლექტიური იყო — ქარხანა ქარხანას იწვევდა, კოლხოზი კოლხოზს, დარაგი დარაგს. გაუმაძღარმა სახელმწიფომ არც ეს ჩათვალა საკმარისად და შეჯიბრმა ადრესიც შეიცვალა და შინაარსიც. თუ წინეთ ქარხანა ქარხანას მიმართავდა, ახლა ის მიმართავს „მამას და ბელადს“ და აძლევს შეპირებას, რომ სახელმწიფო ნორმას შეასრულებს რამდენიმე თვეში. ასეთ პირობაზე ხელს აწერდენ ოფიციალური პირები — პარტიული მდივნები, ალმასტკომის თავმჯდომარე და დამზადების სამინისტროს რწმუნებულნი. ამ პირების შეპირება არ იქნა ჩათვლილი საკმარისად და ახლა მთელი ტექსტი შეპირებისა იკითხება საერთო კრებაზე და ხელს აწერენ დარგების ყველა მომუშავენი. პასუხის მგებლობა გახდა კოლექტიური, საყოველთაო. ეს არის შეჯიბრის ევოლუციის უკანასკნელი ფორმა და გაგრძელდება დიდხანს, თუ შეცვლის მას სხვა რომელიმე უფრო სასტიკი ფორმა ექსპლოატაციისა, — ეს იცის მხოლოდ კომპარტიის ხელმძღვანელობამ.

შეპირების საერთო სურათის გასაცნობად, საკმარისია მოვიყვანოთ შეპირების ტექსტიდან რამდენიმე ადგილი: ერთი ოლქი პირდება „ბელადს“ რომ შეწველი გეგმას გადააჭარბებს — 25%, მეორე — 40%. ერთი რაიონი პირდება რომ წლის განმავლობაში მოაწველიებს კოლხოზის ძროხას არანაკლებ 1500 ლიტრას, ხოლო ჯიშის ძროხებს — 2000 ლიტრას. მესამე ოლქი პირდება რომ მოაწველიებს ძროხას არა 2000 ლიტრას, არამედ 6000 ლიტრას. დაიბადებიებს ყოველ ას ძროხას — 85 ხბოს, ას ცხენს — 55 კვიცს, ას ცხვარს — 1500 კრავს, თითო ღორს — 12 - 14 გოჭს. სხვა რაიონი კისრულობს გაკრეჭაზე თითო ცხვრიდან მიიღოს — 3,2 კ. მატყლი, ზოგან კიდევ 4,1 კილო. არ ივიწყებენ იმასაც, რომ ხბოს ექვს თვემდე ყოველ დღე და ღამეში მოამატებიებენ — არა ნაკლებ 900 გრამისა. მეთევზეები პირდებიან რომ წლის განმავლობაში დაიჭერენ საწესდებულო ნორმაზე 5 ჯერ მეტს. ყველაზე კურიოზულია საქართველოს კოლხოზების შეპირება: წლის განმავლობაში ამდენს მოვასხმევინებთ ლიმონს, ამდენს ფორთოხალს, ამდენს მანდარინს, ამდენს ჩაის მოვკრეფთო და სხ.

ერთი სიტყვით, მთელი კავშირის მეურნეობის ყველა დარგი იძლევა შეპირებას, რომელიც მიღებულია საერთო კრების მიერ და საერთო ჯამში ამ შეპირებათა ზოგიერთ დარგში ოცჯერ უფრო დიდია, ვინემ სახელმწიფო წლიური ნორმა. მთელი ეს უამრავი საქონელი მზადდება „ნებაყოფლობით“ საწესდებულო ნორმის გარეშე და სახელმწიფოს არაფერიც არ უჯდება. სამაგიეროთ ძალიან ძვირად უჯდება თვით მუშებს და მათ ჯანმრთელობას, მაგრამ ამის გამკითხავი ვინ არის.

არა ნაკლებ საინტერესოა ხელფასის ანგარიშიც. როგორც ზევით ავლნიშნეთ, ხელფასი საკმაოთ დიდია სახელმწიფო გეგმით. გამოთვლაც სწარმოებს ამ ოფიციალური ცხრილის მიხედვით. მაგრამ ფულის მიცემა კი ხდება სულ სხვა ბუჰგალტერიით. მრავალი სხვადასხვა დაწესებულებების სასარგებლოთ იმდენი ექვითება, რომ მიღებული თანხით მომუშავე ელემენტარული მოთხოვნილებასაც კი ვერ იკმაყოფილებს.

უცხოელი დელეგატები ამ რეალურ სინამდვილეს ვერც ხედავენ და არც უნდათ დაინახონ; ეცნობიან მხოლოდ ოფიციალურ ნორმებს და ცხრილებს, ხოლო რაც ამ შირმის უკან იმალება — ეს მათთვის სრულიად არ არსებობს, არც კი ცდილობენ გაიცნონ. ამნაირად ითხზება ლეგენდა „საბჭოთა კავშირში მუშათა საკითხის იდეალურად გადაჭრის“ შესახებ.

ამიტომაა, რომ ამ დელეგატების წოწიალი საბჭოთა კავშირში ასეთ ზიზღს და ასეთ ბრაზს იწვევს მუშათა წრეებში...

ა. ვანიძე

# ერთი პროცესის გამო

(მოგონებიდან: „საბჭოთა საქართველოს სახე“)

განსაცვიფრებელია ის გარემოება, რომ თუ საბჭოთა კავშირის ცენტრში — მოსკოვში, „აღმოჩნდებოდა“ რაიმე სახის „მავნებლობა“, ამის მზგავს მოვლენას აუცილებლად ადგილი უნდა ჰქონებოდა საქართველოშიც, თითქოს ეს სავალდებულო ყოფილიყოს.

მოსკოვში 1927 წელს, სპეციალისტ-აგრონომს პროფესორს კონდრატიევს მავნებლობა დასწამეს, რაც ცნობილია „კონდრატიევშჩინას“ სახელით და ამის შემდეგ მიდგენ და დაერიენ ქართველ სპეციალისტებს, პროფესორებს და საზოგადო - პოლიტიკურ მოღვაწეებს. ასეთს მოქმედებას ეწოდებოდა „ბრძოლა იდეოლოგიური ფრონტზე“, რომლის „ინსცენირება“ შეეხო აგრეთვე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილ სამხედრო მინისტრს, ცნობილ საზოგადო მოღვაწეს გრიგოლ გიორგაძეს.

ეს პროცესი ჩატარდა 1927 წელს, ქართული კლუბის დარბაზში ტალახაძის თავმჯდომარეობით. ქართველ პოლიტიკური მოღვაწეთა საჯარო გასამართლება მოხდა საჯაროთ, ხალხით გაჭედილ დარბაზში; დამსწრე საზოგადოება, მიუხედავად მოსალოდნელ რეპრესიებისა, თანაგრძნობით და მრავალ შემთხვევაში ტაშის ცემით ხვდებოდა ამა თუ იმ ცნობილ მოღვაწის გამოჩენას სცენაზე. ამ შემთხვევაში მეტად საინტერესოა გრიგოლ გიორგაძისა და პროცესის ხელმძღვანელის ტალახაძის „პაექრობა“. დარბაზში ზის გრ. გიორგაძე და ელოდება გამოძახებას... ტრიბუნაზე პორთფელით ხელში ადის ტალახაძე და რუსულ ენაზე წინადადებას აძლევს მას, მოჰყვეს მოკლედ თავის ცხოვრების სავალ გზებს. გრ. გიორგაძე იწყებს ლაპარაკს ქართულად და ჰყვება საინტერესო მომენტებს თავის რევოლიუციური წარსულიდან, თუ როგორ იბრძოდა ის სხვებთან ერთად რუსეთის თვითმპყრობელობის წინაამდეგ, შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და მისი დაცვა - განმტკიცების საქმეში; მაგრამ პროცესის თავმჯდომარე ტალახაძემ ეს როდი „მოიწონა“ გიორგაძეს და პირდაპირ დაუსვა კითხვა ისევ რუსულად — რამდენჯერ ჩააქრე აჯანყებანი საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში და მისთანანი. გრ. გიორგაძემ მკვეთრად და ფაქტებით მოუთხრო დამსწრეთ, თუ როგორი იყო ნამდვილად საქმის ვითარება და მოაგონა ტალახაძეს, რომ ყოველ შემთხვევაში იმის მზგავს მოვლენებს ადგილი არ ჰქონია დემოკრატიულ საქართველოში, რაც ჩაიდინა საბჭოთა მთავრობამ და განსაკუთრებით, პირადად თქვენ 1922, 1923 და 1924 წლებშიო. (ტალახაძე 1922-23 წელს ტფ. სამხედრო სკოლის ხელმძღვანელი იყო და სასტიკად ჩააქრო აჯანყება გურიაში). ტალახაძეს თემა შემოაკლდა და რატომღაც შეეკითხა გრიგოლ გიორგაძეს, ეკუთვნის თუ არა იგი დღეს რომელიმე პარტიას, მას შემდეგ, რაც იგი „ახალ გზელი“ გახდა. ტალახაძეს ეგონა რომ გრ. გიორგაძე შეუდგებოდა საბჭოთა ქებას, მაგრამ სასტიკად დარჩა, როცა უკანასკნელმა განუცხადა: „პოლიტიკური მრწამსი ხელთათმანი არ არის, რომ სეზონის მიხედვით იცვალოს ადამიანმა, ვიყავი და ვრჩები ქართველ სოციალ - დემოკრატად“. ტალახაძე შეტევაზე გადადის, წინაამდეგობას უწევს და მოითხოვს რათა გრ. გიორგაძემ ილაპარაკოს რუსულ ენაზე. მაშინ გრიგოლი ხსნის პორტფელს, იღებს იქიდან საქართველოს ს.ს.რ. კონსტიტუციას და ამავე კონსტიტუციის მე - 4 მუხლის ძალით მედგრად უპასუხებს ტალახაძეს, რომ საბჭოთა საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფო ენა არის ქართული ენა, და თვითონ თქვენ, როგორც საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენელს გევალებათ მტკიცედ დაიცვათ თქვენივე ხელისუფლების მიერ შექმნილი კანონიო. იურიდიულად დასაბუთების გზით გრიგოლ გიორგაძემ მოსკოვის ყურმოჭრილ მონას — გადაუჭრა სავალი გზა; მაშინ ტალახაძე, წარმოიდგინეთ, რომ „სთხოვს“ გრ. გიორგაძეს ილაპარაკოს რუსულად, რადგან აქ, დარბაზში სტუმრები გვესწრებიან და მათ არ იციან ქართული ენაო. ამის საპასუხოდ გრ. გიორგაძემ ვეფხვივით დაიქუხა ტრიბუნიდან: **„დროა სტუმრებმა 15 წლის მანძილზე მაინც, ისწავლოს მასპინძლის ენა“.**

ამის გაგონებაზე დარბაზში ვაშას ყიჟინა სტუდა და დაუსრულებელი ტაშის გრიალი. ამ ვაშას და ტაშს იმ დღეს ბევრი ემსხვერპლა დამსწრეთაგან, მაგრამ დიქტატურის ქვეყანაში, ესეც ხომ „ნორმალური“.

ამ საჯარო პროცესმა გრ. გიორგაძის წყალობით საშინელი მარცხი განიცადა. და ქართული კლუბიდან პროცესი გადაიტანეს ტრამვაის წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საბჭოთა კავშირის სოციალური პოლიტიკა

საბჭოთა კავშირის **სოციალური** პოლიტიკა მჭიდროთ არის დაკავშირებული იმის ეკონომიურ პოლიტიკასთან, კერძოთ იმის ეკონომიურ საქმიანობაში უაღრესად განვითარებულ ცენტრალიზმთან *).

თუ თანამედროვე საზოგადოება ყოველგან სოციალურ კლასებათ არის დაყოფილი და კაცობრიობის იდეალია ამ კლასთა შორის არსებულ უთანხმოების ბოლოს მოღება, ამ მიზანს საბჭოთა კავშირმა დიდებულათ მიაღწია: მან მოსპო უფლება კერძო საკუთრების და მესაკუთრეთა კლასიც ფიზიკურათ გაანადგურა! თუ ნივთიერ კეთილდღეობას იქ, მაინც, ყველა ერთნაირათ ვერ სარგებლობს, ეს გარემოება საერთო მდგომარეობის გამონაკლისია; საერთოდ კი, საზოგადოების დიდი უმრავლესობა იქ ნივთიერათ გათანასწორებულია: გასაჭირში და სიღარიბეში.

კაცთა შორის მშვიდობა და სათნოება ქვეყნათ მაშინ დამყარდებაო, ქადაგობენ არა მარტო სოციალისტები, არამედ სხვადასხვა სარწმუნოების და სხვადასხვა ჰუმანიტარულ მიმართულების მიმდევარნიც, როცა სიმდიდრის უსამართლო განაწილება მოისპობაო. ბოლშევიკებმა კარგად იციდენ, რომ ეს შეეხება იმ სიმდიდრეს, იმ კერძო საკუთრებას, საზოგადოების ერთ ნაწილს რომ ანიჭებს საშვალებას საზოგადოების მეორე ნაწილის ექსპლოატაციისთვის, სახელდობრ, საკუთრებას **საწარმოვო საშვალებებზე** და არა ყოველგვარ საკუთრებას, დიდია იგი თუ მცირე, მდიდარის არის თუ ღარიბის. უფლების გამოცვლა კერძო საკუთრებაზე ხდება უმტკივნეულოთ, როცა საზოგადოების უმრავლესობა შეიგნებს ამის აუცილებლობას და იგი კანონმდებლობის წესით გაატარებს ამ ცვლილებას ცხოვრებაში. ინგლისის, საფრანგეთის და ბევრი სხვა ქვეყნის — და არა მარტო ამ უკანასკნელ დროის — მაგალითები ასეთი ევოლიუციის ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, უმტკივნელო რევოლიუციის მაჩვენებელია. ამ ქვეყნების სოციალური მდგომარეობა ჩვენ თვალწინ დიდათ გამოიცვალა უმსხვერპლოთ, სამოქალაქო ომის გაუჩაღებლათ.

ასეთი არ იყო გზა საბჭოთა კავშირის. საბჭოთა წესწყობილება ამ გზას ვერ გაყვებოდა, რადგან იგი უმრავლესობის ნებისყოფისათვის დამორჩილების მაგიერ, თავიდანვე უმცირესობის მიერ მოხდენილ ძალდატანებაზე არის დამყარებული. ამიტომ, უმრავლესობისთვის მისაღებ კანონმდებლობის მაგიერ, საბჭოთა წესწყობილებამ თავის აღორძინების დასაწყისიდანვე ქვეყნათ უკანონობა და ანარქია გაბატონა; პირველი „სოციალური“ ხასიათის ლოზუნგი, მან აბობქრებულ ხალხში რომ გადაისროლა იყო:

*) იხ. „მებრძოლი საქართველო“, № 4.

---

რმოების მუშათა კლუბში, რათა თვითო მუშებს გამოეტანათ დასკვნა; მაგრამ ტრამვაის მუშებიც, ისე ვით „კონტრ-რევოლიუციონერები და შოვინისტები“, ტაშის გრიალით ხვდებოდნენ თვითეულ ქართველ საზოგადო მოღვაწის ტრიბუნაზე გამოჩენას. თუ მეხსიერება არ მღალატობს, მგონი პროცესი შემდეგ არ გაგრძელებულა, საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის თავმჯდომარის ფილიპე მახარაძის ჩარევის გამო; მხოლოდ სინამდვილეა ის, რომ ამ პროცესს შეეწირა გრიგოლ გიორგაძე.

იგი მალე სრულიად გაქრა საქართველოს ჰორიზონტიდან. სად გააქვრეს ეს მხნე მებრძოლი, აბა საიდან უნდა გაგვეგო?

მხოლოდ უცხოეთში, შემთხვევით ამოვიკითხე „სოციალისტურ ვესტნიკ“-ში 1948 წლის ერთ-ერთ ნომერში შემდეგი ცნობა მისი უკანასკნელი დღეების შესახებ, რომელიც აქვე მომყავს:

„1937 წელს, ივლისში ქ. ალმა-ატაში (კასპიის იქით მხარეში) დაატუსაღეს იქ მცხოვრები ე. წ. „განთავისუფლებულ გადასახლებულთა“ მდგომარეობაში მყოფი ქართველი სოციალ-დემოკრატები. მათ შორის ყველაზე ცნობილი იყო გრ. გიორგაძე, ყოფილი სამხედრო მინისტრი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის. ალმა-ატაში გადასახლებამდე მან 10 წელიწადი გაატარა ციხის საკანში სრულ მარტოობაში.

ცოტა გვიან ოფიციალურ წრეებიდან გამოვიდა ცნობა, რომ მან ციხეში გადაიჭრა მაჯის მთავარი ძარღვები და სისხლისაგან დაცლილმა დალია სული“.

ასე დაიღუპა ერთი სახელოვანი მოღვაწე საქართველოს დამოუკიდებლობის. მ. ლ.

„გაძარცვე ნაძარცვი"-ო! ხოლო „ნაძარცვით" იყო გამოცხადებული ყველაფერი, თუ ვისმე რამე ებადა: ბანკებში შენახულ ფულიდან და სარგებლიან ქაღალდებიდან დაწყებული ორიოდე წყვილ საცვლით და მის მზგავს პირად საჭიროების საგნებით გათავებული. იყო ნადვილი ძარცვა-გლეჯა და ამას თვითონ ბოლშევიკებმა „სამხედრო კომუნიზმი" უწოდეს.

ასეთი ზომები გამეფდა რუსეთში „ოქტომბრის" რევოლიუციის შემდეგ და ასეთი წესით ისპობოდა იქ საზოგადოებაში არსებული სოციალური უთანხმოება. საშვალება იყო ველური, შეიძლება ეს რევოლიუციის დროის ექსცესებით იქმნას ახსნილი; მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ „ექსცესებს" დამცველები ჰყავდა, რადგან იგი განსაზღვრულ მიზანს ემსახურებოდა: თავაშვებულ ბრბოებით ბოლშევიკურ რევოლიუციის მომხრეთა გამრავლებას.

ამ პირობებში საზოგადოებრივი ცხოვრების საერთო დონე დაეცა და მთელი მოსახლეობა სულ მალე სოციალურ უზრუნველყოფის უმდაბლეს საფეხურზე ჩამოგორდა. პროფ. ს. პროკოპოვიჩის მიერ მოყვანილ ცნობების თანახმად, მთელი სახალხო შემოსავალი რუსეთში ამ დროს (1921 წ.) კაცის თავზე უდრიდა წლიურათ 38 მან. 60 კაპ. ანუ თვეში სულ 3 მან. 20 კაპ. *). ამაზე მეტი სიღარიბის წარმოდგენა კულტურულ საზოგადოებაში შეუძლებელია, ისიც დიდის ხნით. ძველი დაგროვილი დოვლათი განიავდა; ახალი შემოსავლით, ცხადია იყო, სახელმწიფო ვერ იარსებებდა. აი ამ დროს წარმოიშვა ეგრეთ წოდებული „ნეპ"-ი და მან საბჭოთა წესწყობილებას სული მოათქმევინა.

**
*

ცხადი იყო თავიდანვე, რომ „ნეპ"-ი და საბჭოთა წესწყობილება ერთად დიდხანს ვერ იარსებებდა. მოითქვეს-რა სული „ნეპ"-ის წყალობით, საბჭოთა წესწყობილების სულის ჩამდგმელნი შეუდგენ რუსეთის ეკონომიური ცხოვრების ისე მოწყობას, რომ საზოგადოების სოციალურ ფენებათ დაყოფა ისპობოდა, ხოლო იმავე დროს ურთიერთობა დამქირავებელსა და დაქირავებულთა შორის ძველი რჩებოდა. განსხვავება ის იყო, რომ მესაკუთრის ანუ დამქირავებელის როლში ახლა მთავრობა გამოვიდა, ერთად-ერთი. ის იყო არა სოციალური დაჯგუფება, არა კლასი, არამედ ძალით გაბატონებული კომუნისტური პარტიის აღმასრულებელი ორგანო; თავის განკარგულებაში მან ძალით, დაქირავებულის როლში, მთელი საზოგადოება ჩააყენა: ვინც არ იმუშავებდა, იგი ვერ იარსებებდა; ყველას უნდა ემუშავნა, სამუშავოს მიმცემი კი მთავრობა იყო, სხვა არავინ.

ეს წესი ტარდებოდა ცხოვრებაში ხშირად ორივე მხარისათვის — ხელისუფლებისთვის ისე, როგორც დაქირავებულთათვის — ძალიან მძიმე პირობებში. საქმე მსხვილი მრეწველობიდან დაიწყეს, თუმცა მსხვილ მრეწველობაში ამ დროს ჩაბმული იყო თვითმოქმედ მოსახლეობის მხოლოდ 3,38 პროცენტი, სოფლის მეურნეობაში კი — 86,72 პროც. *). წვრილი მრეწველნი და წვრილი მესაკუთრენი გვარიან მრავალ რიცხოვანი იყვენ და მათთან დავა ისე, როგორც გლეხებთან, დასაწყისში საბჭოებისათვის ხელსაყრელი არ იყო.

სულ სხვა იყო მდგომარეობა მსხვილ მრეწველობაში. მსხვილ მესაკუთრეთა და აქციონერთა რიცხვი მცირე იყო, მათი ალაგმვა არ იყო ძნელი. მეორე მხრით, ამ მსხვილ წარმოებებში მომუშავე ხალხი — ქარხნებში, მადნებში, ბანკებში, ტრანსპორტებში და სხვ. — თავის რჩენის ყოველგვარ საშვალებას იყო მოკლებული და უფრო ადვილათ ემორჩილებოდენ ახალ პირობებს, ვინემ გლეხები (აქ დემაგოგიაც თავის როლს თამაშობდა, რასაკვირველია). დაიმორჩილა-რა საზოგადოების ეს სოციალური ფენა მთავრობამ, როგორც სამუშაოს მიმცემმა, იგი შეუდგა მრეწველობის უმთავრეს დარგების ანარქიულ მდგომარეობიდან გამოყვანას სათბობ მასალის მრეწველობისას, ლითონისას, საამშენებლო მასალის დამზადებისას, ტრანსპორტისას... საქმე რომ უფრო საიმედოთ დაეჭირათ თავის ხელში, საბჭოთა მთავრობა აერთებდა სხვადასხვა წარმოებას ერთ დიდ წარმოებაში, ტრესტებში, „კომბინატებში", წარმოებათა ხან ერთი-და-იგივეობის და ხან ერთ და იმავე ტერიტორიაზე მდებარეობის მიხედვით. 1925 წელს არსებულ ტრესტებში, 60 დიდი ტრესტი შეიცავდა ერთად 988,226 მუშას, ხოლო დანარჩენი 759 ტრესტი კი სულ 482.626 მუშას; გარდა ამისა არსებობდენ უფრო მცირე ტრესტებიც **).

*) **С. Н. Прокопович** «Очерки хозяйства Советской России», Берлин 1923, стр. 119.

*) **Л. А. Югов** «Народное хозяйство России и его проблемы», Берлин 1929, стр. 12.

**) იქვე. გვ. 21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრეწველობის ასეთმა კონცენტრაციამ საშვალება მისცა ხელისუფლებას არა მარტო მეტი კონტროლი გაეწია წარმოებისთვის, არამედ ერთნაირ პირობებში ჩაეყენებია სამრეწველო მუშების დიდი უმრავლესობა და დაეკანონებია ისეთი წესი, რომ მუშას არ შეძლებოდა არც პროფესიის და არც სამუშაო ადგილის თავისუფლათ გამოცვლა. ხდებოდა „სტანდარტიზაცია“, გაერთფეროვნება, როგორც შრომის, ისე ნაწარმოების. სულ სხვადასხვა პროფესიის, სულ სხვადასხვა კუთხის და სულ სხვადასხვა მოთხოვნილების წარმომადგენელნი გაერთიანდენ **ერთნაირ ეკონომიურ და სოციალურ** პირობებში, სრულიად ხელოვნურათ და ძალდატანებით. დასაბამი ამის იყო ის, რომ მათ ერთი პატრონი ყავდათ, უცვლელი, ყოვლისშემძლე და ყოვლად მრისხანე. ასეთი მდგომარეობა არ იწვევდა, რა თქმა უნდა, მუშებში ენტუზიაზმს, სიზარმაცე მუშაობაში იყო გამეფებული. ამან წარმოშვა „სტახანოვიზმი“, მაგრამ „სტახანოვისტები“ ერთეულებია და არა წარჩინებულთა სოციალური კლასი. საბჭოთა კავშირის დიდი მოყვარე ანდრე ჟიდი იმასაც სწერდა ერთხელ, რომ „სტახანოვიზმმა“ ძველებური კნუტი შეცვალა და იმ ქვეყნებში, სადაც ყველა მუშა მუშაობს „სტახანოვიზმი“ სრულებითაც საჭირო არ არისო.

წვრილი **კერძო** მრეწველობა, ხელოსნობა, შინათ მრეწველობა (ძველ რუსეთში ამას დიდი ადგილი ეჭირა), მოკლებული ყოველგვარ უფლებას (ნედლი მასალის ჩვეულებრივ პირობებში შოვნას, ხელსაწყოს, ტრანსპორტს და სხვ.), გადასახადებით უზომოთ დატვირთული, თანდათან ვიწროვდებოდა და ქრებოდა. იქ მომუშავენიც თანდათან პროლეტარიატის რიგებს ავსებენ, დაქირავებულ მუშისა და მთავრობის ყურმოჭრილი ყმები ხდებიან.

ვაჭრობა ხომ საესებით თავიდანვე სახელმწიფოს საქმეთ იქმნა გამოცხადებული და ამ საქმეზე მომუშავე ხალხი ისევე დამოკიდებული გახდა სახელმწიფო ორგანოებზე, როგორც სხვა ყველანი.

***

დარჩა სოფლის მეურნეობა. გლეხის დამორჩილება უფრო ძნელი საქმე იყო, ვინემ ქარხნის მუშის და საზოგადოთ ქალაქის მცხოვრების. ბევრ შემთხვევაში გლეხს უმთავრესი მისი საწარმოვო საშვალება — მიწა — საკუთათ ჰქონდა და ბევრ შემთხვევაში იმას ახლა, რევოლიუციის შემდეგ, თვითნებურათ დაეპატრონა. ამიტომ გლეხი მთავრობიდან დამოუკიდებლათ ირჩენდა თავს, ქალაქის მუშასთან შედარებით უფრო თავისუფალი იყო ამ მხრივ და ხშირად თვითონ უყენებდა ხელისუფლებას პირობებს, არ აძლევდა რა ქალაქს სოფლის ნაწარმოებს, თუ არა თავისთვის ხელსაყრელ პირობებში.

მიწის სახელმწიფოს საკუთრებათ გამოცხადება, იმის საერთო ნაციონალიზაცია და მესაკუთრეობის მოსპობა სოფლის პატარა მამულებზე, ისე, როგორც დიდებზე, აუცილებელი პირობა იყო გლეხის დამორჩილებისა. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლება არ დაერიდა ამ ზომას: მან მიწის ნაციონალიზაცია გამოაცხადა, გლეხს საკუთარი საწარმოვო საშვალება წაართვა უფლებრივათ.

მეორე ნაბიჯი გლეხის დასამორჩილებლათ სოფლის მეურნეობის „კოლლექტივიზაცია“ იყო, იძულებითი ზომებით. მართალია წესიერათ თუ უწესოთ, მიწა გლეხს ეჭირა ხელში, ყოველ შემთხვევაში ერთხანს, მაგრამ იმის დასამუშავებლათ მას მრავალი ხელისშემწყობი პირობები ესაჭიროებოდა: სამეურნეო იარაღი, სათესლე, თავისუფალი ბაზარი, სატრანსპორტო საშვალებანი და სხვ. ყველაფერი ეს მთავრობამ ჩაიგდო ხელში და დააკანონა: ეს საშვალებანი მხოლოდ მას მიეცემოდა, ვინც ინდივიდუალურ მოქმედებაზე ხელს აიღებდა და თავის მეურნეობას სხვებისას გაუერთიანებდა. ეს იყო კოლექტიური მეურნეობა ანუ „კოლხოზი“, როგორც მას რუსულათ უწოდებენ. კოლექტიურ მეურნეობაში ანუ **კოოპერაციაში** ევროპაში დიდის ერთგულობით ეწერება გლეხობა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებმა დანიაში, შვეციაში, ფინლიანდიაში, გერმანიაში, შვეიცარიაში და სხვ. ხელი შეუწყვეს სოფლის მეურნეობის დიდათ განვითარებას. საბჭოთა კავშირში ყველაფერი უკუღმა ხდება, რადგან ყველაფერი იქ ძალდატანებულია. ყველაფერზე უფრო მეტად გლეხს საბჭოთა კავშირში სწორეთ „კოლხოზი“ შეაძულეს, რადგან იმაში წევრათ ჩაწერა ნიშნავდა მთელი თავის ნაწარმოებზე ხელის აღებას, მთელი მოსავლის მთავრობის ორგანოებისთვის, მთავრობის მიერვე დაწესებულ ფასებში მიცემას და იმის ხშირად მის მიერვე უკან შესყიდვას, ხოლო ბევრად მომატებულ ფასებში. მეორე მხრით, საშინლათ მძიმე პირობებში იქმნა ჩაყანაბული კერძო წვრილი მესაკუთრის ინ-

დივიდუალური მეურნეობა. კერძო მიწათ-მოქმედი, კოლექტივის გარეშე დარჩენილი, დატვირთული იყო აუტანელ გადასახადებით, მოკლებული იყო სათესლეს, ტრანსპორტს სასუქს და სხვ. იგი თანდათან ქრებოდა. საბჭოთა კავშირის გლეხობამ, ყოველგან, დაინახა კოლექტიურ მეურნეობაში მისი უდიდესი მტერი და მას მტრულათ შეხვდა. გლეხი დამარცხდა. 99 პროცენტზე მეტი სახნავ - სათესი მიწა საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკებში ახლა კოლექტიურ მეურნეობაში შედის. გლეხებთან ბრძოლა ამ ნიადაგზე სისხლიან ფურცლებით აღიბეჭდება საბჭოთა კავშირის ისტორიაში. ეს სოციალური ფენაც თანამედროვე საზოგადოებისა ამიერიდან საბჭოთა კავშირში აღარ არსებობს, იგი გაპროლეტარებულია.

* * *

ამნაირად, საბჭოთა კავშირის მოსახლეობის სოციალური სახე ევროპის და საერთოდ სხვა გარეშე ქვეყნების სოციალურ წყობასთან შედარებით სავსებით გამოცვლილია. იქ არსებობს ახლა ერთად-ერთი სოციალური ფენა 200 მილიონ მოსახლეობისა, ერთის მხრით, და მმართველთა მცირე რიცხოვანი ჯგუფი, მეორე მხრით. ეს უკანასკნელნი **წოდებას** უფრო წარმოადგენენ, **პრივილეგიურს,** ვინემ სოციალურ კლასს. საბჭოთა კავშირში დამყარდა ისეთი სოციალური წესწყობილება, შეიქმნა ისეთი სისტემა, რომელიც საუკეთესო იარაღს აძლევს მმართველთა მცირე ჯგუფს მთელი ხალხის მორჩილებაში დასაყენებლათ.

მთელი ეკონომიური წყობა საბჭოთა კავშირის ამ სოციალურ სისტემას ემყარება და ეს სოციალური სისტემა, თავის მხრივ, ასულდგმულებს საბჭოთა კავშირის ეკონომიურ საქმიანობას. ამას ემყარება საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ფინანსებიც. რაკი მთელი ეკონომიური ცხოვრება - მრეწველობა, აღებ - მიცემობა, ტრანსპორტი — მთავრობის ხელშია, მთავრობა ბაჟებზე და გადასახადებზე (უფრო სამართლიან წილზე) კი არ ამყარებს თავის ბიუჯეტის შემოსავალს, არამედ საქონლის ტრიალზე, აღებ მიცემობაზე: რამდენათ მეტი შემოსავალი დასჭირდება მას სახელმწიფო ხარჯების დასაფარავათ, იმდენათ უფრო გაადიდებს იგი საქონლის ფასს და შეამცირებს მუშის ხელფასს. ეს ძალიან მარტივი საქმეა უბრალო არითმეტიკის. 1952 წლისთვის, მაგალითად, საქონლის ტრიალის შემოსავალი უდრის 51 პროცენტს მთელი სახელმწიფო შემოსავლისას და ხანდახან ეს პროცენტი უფრო მეტიც იყო. ეს არის უარესი ზომა გადასახადის, ოდესმე სახელმწიფოს რომ მოუმართავს: სარგებლობს რა იმ გარემოებით, რომ საქონლის მიმწოდებელი ქვეყანაში მხოლოდ მისი, სახელმწიფოს, ორგანოებია, ხელის უფლება აწესებს ფასებს, როგორც მოესურვება. საბჭოთა კავშირი მთელ მსოფლიოში, ამ მდგომარეობის გამო, ერთად-ერთი სახელმწიფოა, რომელმაც დეფიციტი ბიუჯეტისა არ იცის!.. მან შექმნა ისეთი სოციალური წყობა საზოგადოების, რომელიც საუკეთესო აპარატს წარმოადგენს მოქალაქის ჯიბიდან უკანასკნელ გროშის ამოსაწურავათ, სულ ერთია შრომის გამყიდველია იგი, თუ მომხმარებელი. ომის წინ (1937 წ.), ეხლანდელ სოციალურ წეს-წყობილებაზე აშენებული „სოციალისტური მეურნეობა" წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის მთელ სახალხო მეურნეობაში:

| | | |
|---|---|---|
| მთელი სახალხო შემოსავლის | 99,1 | პროც. |
| სამრეწველო ნაწარმოების მთელ რაოდენობის | 99,8 | „ |
| წვრილი ვაჭრობის | 100,0 | „*). |

აი რითი — ტერორს თავი რომ გავანებოთ — უჭირავს ხელში საბჭოთა კავშირის ხელისუფლებას მთელი საზოგადოება.

ნურავინ იტყვის, რომ საბჭოთა კავშირის სოციალურ და ეკონომიური სისტემის შემქნელთ არ გამოეჩინოთ ნიჭი და გამჭრიახობა თავის პოლიტიკური მდგომარეობის **სწორეთ ამ საშუალებებით** გასამაგრებლათ. იქ შექმნილი — მართალია, ძალდატანებით და ხალხის ინტერესების წინააღმდეგ — პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური სისტემა ერთი მეორეს ამაგრებს და ინახავს დღემდის, აგერ 35 წელიწადია. შეიძლება, ერთი ძაფიც რომ გაწყდეს ამ ხელოვნურად მოწყობილ აპარატის, იგი სულ დაინგრევს; მაგრამ ნურც იმას იფიქრებს ვინმე, რომ იმ დანგრეულ აპარატის თავის მოყრა და ახალ გზაზე დაყენება ადვილი საქმე იქნება, განსაკუთრებით ერთფეროვნათ 22 მილიონ კვადრ. კილომეტრის მანძილზე და 200 მილიონ მცხოვრებში.

ა. ა.

*) «Итоги выполнения второго пятилетнего плана развития народного хозяйства Союза ССР» — Госплан-издат., Москва 1939, стр. 69.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საერთაშორისო ამბები

წინა წერილში ჩვენ ვარჩევდით იმ ხელშეკრულებებს, რომელიც გასულ მაისში დაიდვა ბონში (გერმანია) და პარიჟში. პირველი შეიცავს გერმანიაში საოკუპაციო რეჟიმის მოხსნას, მეორე კი ევროპის თავდაცვითი ერთობლიობის დაარსების დებულებებს.

ბონში და პარიჟში მოხდა შეთანხმება და ხელშეკრულებებს ხელი მოაწერეს, მაგრამ ამ ხელმოწერით საქმე არ წყდება და არ თავდება, ვამბობდით ჩვენ მაშინ. ამ ხელშეკრულებებს პარლამენტების რატიფიკაცია სჭირია, ამას დრო უნდა, ამ დროის განმავლობაში კი საბჭოები შეეცდებიან ყველაფერი ქნან მუქარით, დემაგოგიური გამოსვლებით და სხვა, რომ ეს საქმე ჩაშალონ, რატიფიკაცია არ მოხდეს, გერმანიაში არევ - დარევა გამოიწვიონ, რომ ის თავის გავლენის ქვეშ დააყენონ და ახალ სატელიტ სახელმწიფოთ გახადონ.

და მართლადაც, ამ ხელშეკრულებების დადების შემდეგ აღმოსავლეთ გერმანიაში დაიწყო სასტიკი ბრძოლა და საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია ბონის და პარიჟის შეთანხმების წინააღმდეგ.

ივნისში მოსკოვის აგენტებმა მოაწყვეს გერმანიის ნაციონალ-დემოკრატ. პარტიის ყრილობა ქალაქ ლეიპციგში. ეს პარტია თითქმის მთლიანათ შესდგება ყოფილი ნაზისტური მხედრებისგან, რომელნიც ტყვეობაში იმყოფებოდენ რუსეთში და იქ გაიარეს კომუნისტ. ვარჯიშობა და სკოლა. ეს მხედრები ეხლა მოწოდებით მიმართავენ ყველა მათ წინანდელ თანამებრძოლთ, განსაკუთრებით დასავლეთ გერმანიაში მცხოვრებ ჯარის - კაცთ. მათ სურთ დასავლეთ გერმანიის მხედრობის ლოიალობა შეარყიონ და იქ განზრახული ევროპიული ჯარის შექმნას ხელი შეუშალონ. ამ მოწოდებაში ხაზი ესმება იმ აზრს, რომ რუსეთი ყოველთვის იქნება უდიდესი და უძლიერესი მეზობელი და, თუ გერმანიისათვის წარსულში ყოველთვის სასარგებლო იყო რუსეთთან მეგობრული დამოკიდებულება და განწყობილება, ეხლა, როცა საბჭოთა რუსეთი ასეთ დიდ როლს თამაშობს საერთაშორისო ასპარეზზე, ჩვენი ინტერესია მასთან და მის გვერდით ვიყოთ. იქვე იგონებენ ბისმარკის პოლიტიკას რუსეთის მიმართ, რაპალოს ხელშეკრულებას და სხვა. ასეთივე შინაარსის რეზოლიუცია და მოწოდება გამოატანიეს აგრეთვე აღმოსავლეთ გერმანიაში ყველა ნებადართულ პოლიტიკური პარტიების გაერთიანებულ ბლოკს.

აღმოსავლეთ გერმანიის მთავრობის თავმჯდომარე ოტო გროტევოლი მიმართავდა რა ნაციონალურ - დემოკრატიული პარტიის ყრილობას, ამბობდა, რომ ვითომც აღმოსავლეთ გერმანიას ომის საშიშროება მოელოდეს დასავლეთიდან და ამის გამო ისინი იძულებული გახდენ საჩქაროდ ნაციონალური ჯარი შეედგინათ; თუ აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანელები ერთად ვიქნებით, ჩვენ შევსძლებთ ბონის და პარიჟის ხელშეკრულებების რატიფიკაცია ჩავშალოთ და ადენაუერის მთავრობა თავიდან მოვიცილოთ.

ჯერ - ჯერობით მოსკოვის და მისი აგენტების — პიკ - გროტევოლების დემაგოგიურ მანიოვრებს არავითარი თვალსაჩინო შედეგები არ მოყოლია. წინააღმდეგ, ამერიკის კონგრესმა და ინგლისის პარლამენტმა ბონის და პარიჟის ხელშეკრულებებს რატიფიკაცია მოუხდინეს და ამ შემოდგომაზე ასეთივე რატიფიკაცია უნდა მოახდინოს გერმანიამ და საფრანგეთმა.

კრემლი ნათლად ხედავს, რომ ამ რატიფიკაციას ის ხელს ვერ შეუშლის და თავის ბატონობას მთელ გერმანიაზე ვერ გაავრცელებს. თუ მთელი გერმანია მოსკოვის დომინაციის ქვეშ უცებ და ერთბაშად არ მოხთებოდა, ეგებ შესაძლებელი ყოფილიყო გერმანიის ნეიტრალობის მოპოვება, შემდეგ კი ნეიტრალური გერმანიისათვის მნიშვნელოვანი დათმობების (მაგალითად პოლონეთის მხრივ) გაკეთება და ამ გზით მისი თავის მხარეზე გადმობირება, ფიქრობდენ კომუნისტები. მაგრამ ბოლშევიკების სამწუხაროდ ეს მათი ილლიუზიები არ გამართლდა. ამიტომაც არის, რომ სტალინი თავის ინტერვიუში ბოლშევიზან - სოციალისტს, იტალიელ ნენის ეუბნებოდა: ეხლა „ერთი მთლიანი, თუ ნეიტრალური გერმანიის" იდეა შეცვლილ უნდა იქნას; დღევანდელ პირობებში აუცილებელია შეიქნას ორი სავსებით სხვადასხვა გერმანია, რომელთა შორის უნდა დამყარდეს სამხედრო ეკვილიბრი, ეს კი მოითხოვს აღმოსავლეთ გერმანიის დამოუკიდებლობის და უზრუნველყოფის გამაგრება - გაძლიერებასო.

სტალინმა თავის ბატონობის ქვეშ დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანია ვერ გააერთიანა, მაგრამ ცხადია, რომ ის აღმოსავლეთ გერმანიას

არავის დაუთმობს. მას უნდა, დღეს ის გერმანიის სხვა ნაწილებიდან დამოუკიდებელი იყოს, ის შეიარაღოს და ახალ სატელიტ სახელმწიფოთ გახადოს. გერმანიიდან საკმაო ცნობებია, რომ ბოლშევიკებმა აღმოსავლეთ გერმანიის ძველი ადმინისტრატიული წყობა შესცვალეს და ის ახალ რაიონებათ დაჰყვეს. მსგავსად სხვა სატელიტ ქვეყნებისა აღმოსავლეთ გერმანიაშიაც ჩქარი ნაბიჯით მიდის სოვეტიზაცია.

პარიჟის და ბონის შეთანხმებაზე მეტად თუ არა, ნაკლებ მნიშვნელოვანი არ არის ის ხელშეკრულება, რომელსაც ექვსი ქვეყნის (საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, ბელგიის, გოლანდიის და ლუქსენბურგის) პარლამენტებმა 14-15 თვის ცხარე დებატების შემდეგ რატიფიკაცია მოუხდინეს გასულ ივნისში. ეს შეთანხმება ეხება საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის შუმანის გეგმას ნახშირ-ფოლადის ევროპიულ საზოგადოებას. ამ გეგმის მიხედვით ეს სახელმწიფონი ორ მათ მთავარ წარმოებას — ნახშირისა და ფოლადისას, აერთიანებენ, ამ ექვსი ერის წარმომადგენლებისაგან შემდგარი უმაღლესი გამგეობის ზედამხედველობით და ხელმძღვანელობით ამ წარმოების ექსპლოატაციას აწყობენ და მისი ყველა ნაწარმოებთა ურთიერთშორის უბაჟოთ ყიდვა-გაყიდვის საერთო თავისუფალ ბაზარს აარსებენ.

მეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე ის, რომ შუმანის გეგმა, როგორც მაგალითი ევროპის ზოგი წარმოების გაერთიანების და პლანიფიკაციისა, ახდენს თვალსაჩინო გავლენას, რომ ასეთივე გეგმით მუშაობა დაიწყონ მიწათ-მოქმედების, ტრანსპორტის და სხვა დარგებშიდაც.

ევროპის ნახშირ-ფოლადის საზოგადოების საერთო წარმოება არის წინაპირობა და საფუძველი ევროპის თავდაცვითი ერთობლიობისა. ამ თავდაცვით ერთობლიობაშიდაც იგივე ექვსი ერი აერთიანებს მათ სამხედრო ძალებს ერთ ევროპიულ ჯარში, დაკავშირებულს ჩრდილო ატლანტიკის სამხედრო ორგანიზაციასთან, რომელსაც საერთოდ ამერიკული გენერალი რიდჯვეი ხელმძღვანელობს. ასეთი სამხედრო ორგანიზაციის წარმატებით მოწყობა და ჩატარება შესაძლებელია, თუ ამ ორგანიზაციაში მონაწილე ერთა უმთავრესი ეკონომიური ინტერესებიც საკმაოდ იქნებიან შეთანხმებული, რომ შესაძლებელი გახდეს მათი საერთო ძალებით დაცვა. და როცა ეს ორი მხარე — ეკონომიური და სამხედრო — შესაფერისად მოგვარდება, მაშინ ძნელი აღარ იქნება ევროპის შეერთებულ შტატების ფედერატიული დაწესებულებათა დაარსება.

---

მღელვარება და არევ-დარევა არაევროპიულ ქვეყნებსაც მოედო. ამ რამოდენიმე თვის წინ ეგვიპტის მეფეს — ფარუკს ეკითხებოდნენ, თუ რას ფიქრობდა ის საერთოდ მეფეების ბედის შესახებ და რა მდგომარეობაში იქნებიან ისინი, მისი აზრით, ორმოცდაათი წლის შემდეგ. მე ვფიქრობ, უპასუხებდა ის, რომ ორმოცდაათი წლის შემდეგ დარჩება მეფის სურათი სათამაშო ქაღალდ-ბანქოზე, იქნება ჯვარის, ყვავის, წკენტის და გულის მეფე. შესაძლებელია კიდევ გადარჩეს ინგლისის მონარქია და მეფეც. ფარუკის ამ პასუხის შემდეგ მართლადაც გავიდა მხოლოდ რამოდენიმე თვე და დღეს თვითონ ის ტახტიდან გადაყენებულია. გადააყენეს აგრეთვე ტრანსიორდანიის მეფე და მეფეების ტახტს ემუქრებიან აგრეთვე აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებშიდაც. ყოველგან მოძრაობა და უკმაყოფილება და ამ უკმაყოფილების მთავარი მიზეზი თითქმის ყოველგან ხალხის სიღარიბე და გაჭირვება. ასეთი მდგომარეობას მოხერხებულად სარგებლობენ მოსკოვის აგენტები და აუარებელი სახსრის შემწეობით დემაგოგიური პროპაგანდას ეწევიან. ამ აგენტებს არ აინტერესებს არც სოციალისტური იდეები და არც ფართო სოციალური რეფორმები. ისინი აღიზიანებენ მხოლოდ ნაციონალისტურ გრძნობებს და ყველას მოუწოდებენ უცხოელების წინააღმდეგ; ამ მიზნით ისინი კავშირსაც კრავენ მიწათ-მფლობელებთან, ფაშებთან, თუ ინდუსტრიელების წარმომადგენლებთან, რომელნიც თავიანთი მხრივ ცდილობენ მშრომელთა უკმაყოფილება თავიდან აიცილონ და უცხოელების წინააღმდეგ მიმართონ.

ეგვიპტეში ხალხის გაჭირვება და კომუნისტების ინტრიგებს თან დაერთო ადმინისტრაციის და მთელი მართველობის საერთო დეზორგანიზაცია და მორალური დაცემა. იგივე სურათი იყო პოლიციის, პოლიტიკური პარტიების და თვით ჯარის ერთი ნაწილის მაღალ რიგებშიდაც. შექმნილი მდგომარეობით მოხერხებულად ისარგებლა ჯარში მეტად პოპულარულმა გენერალმა ნაგიბმა და მან გადატრიალება მოახდინა. მეფე გადააყენა და მისი ახლო თანამშრომელნი და მეგობარნი ციხეში ჩასვა. მთავრობის თავმჯდომარეთ მისი ყოფილი პროფესორი ალი

მაჭერი მოიწვია და ქვეყნის მართვა-გამგეობას მასთან ერთად და შეთანხმებულად აწარმოებს.

როგორც ჩანს, გენერალი ნაგიბი თავის მთავარ ყურადღებას აქცევს ერის ყველაზე უფრო გაჭირვებულ ელემენტებს — გლეხობას. მას აზრათ აქვს შესაფერისი კანონმდებლობით საშუალებით მიწათ-მფლობელთ მიწები ჩამოართვას და ის მიწის არ მქონე ღარიბებს და გლეხებს დაურიგოს. ექსპროპრიაცია ქმნილი მიწათ-მფლობელთ შესაფერისი კომპენსაცია 30 წლის განმავლობაში უნდა გადაეხადოს და ამავე ხანში გლეხობამაც მიღებული მიწის საფასური სახელმწიფოს გადაუხადოს. პროექტში აქვს აგრეთვე მდიდრების დაბეგვრა და მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესობა. ამავე დროს გენერალი ნაგიბი ამბობს, რომ ქვეყნის მართვა-გამგეობა მთავრობის საქმეა, მე კი მხედარი ვარ და ჯარი პოლიტიკის გარეშე უნდა იდგეს. მაგრამ ეს მართალი არ არის. ჯერ-ჯერობით ეგვიპტეს საქმეებს მხოლოდ გენერალი ნაგიბი განაგებს. რამდენათ ძალა-უფლებას ის არ შეიყვარებს, მის სურვილებს ძალით ქვეყანას თავს არ მოახვევს და დიქტატორათ მას არ მოევლინება, აწას მომავალი დაგვანახვებს.

კიდევ უფრო რთულ მდგომარეობაშია სპარსეთი. სპარსეთი საბჭოთა რუსეთის მოსაზღვრე ქვეყანაა. ამ ორი ქვეყნის საერთო საზღვრები სიგრძით 2.000 კილომეტრს უდრის. ამით სარგებლობენ ბოლშევიკები და ისინი მრავალრიცხოვანით და დიდი თანხებით არალეგალურად საპროპაგანდოთ სპარსეთში გადმოდიან. სპარსეთის კომუნისტური პარტია ტუდეშ-იც დიდ მუშაობას ეწევა შიგნიდან ასაფეთქებლად და იქ საბჭოების გასამარჯვებლად.

ეგვიპტეს უკანასკნელ ამბებმა სპარსეთზედაც, როგორც ჩანს, დიდი გავლენა მოახდინა. ამის მაჩვენებელია ის, რომ სპარსეთის შახიც ურიგებს მიწებს თავის ვეებერთელა სახელმწიფო მამულებიდან 600 ოჯახს, რომელნიც მისდამი მიკუთვნებულ თერთმეტ სოფელში ცხოვრობენ. ამავე დროს მოსადეგის მთავრობას აზრათ აქვს გამოსცეს სპეციალური დეკრეტი, რომლის ძალით მიწათ-მფლობელთ, რომელნიც გლეხებისაგან მათი ნაშრომის 3/5 — 4/5 წილს იღებენ, ერთმევათ მათი შემოსავლიდან 20% და ის ღარიბ და გაჭირვებულ გლეხებს ურიგდება. მაგრამ ეს არის უბრალო პოლიტიკა და მეტი არაფერი. მწვავე სოციალური საკითხების გადაჭრა ასეთი საშუალებით ხომ არ შეიძლება. სპარსეთში არევ-დარევის, კომუნისტების და ყველა სხვა ჯურის ავანტიურისტების ბნელ მიზნების თავიდან ასაცილებლად საჭიროა დაუყონებლივ იქ ცხოვრებაში გატარებულ იქნას ფართე და ღრმა სოციალურ-პოლიტიკური რეფორმები.

კ. გვარჯალაძე.

## ამერიკული კომიტეტი ეროვნულ საკითხში

ამერიკულ კომიტეტმა, კერკის თავმჯდომარეობის დროს, ბევრათ უფრო გარკვეული პოზიცია აიღო ეროვნულ საკითხში. ამ მხრივ საინტერესოა ბ. ადმ. კერკის ორი გამოსვლა კომიტეტის სახელით, ორივე რუსის მოღვაწეების მიერ გამოწვეული. ერთია პასუხი ჯუნკოვსკის, მეორე „მუსაიფი" „რუსეთის სახალხო მოძრაობის" ხელმძღვანელებთან. ადმ. კერკის, თავმჯდომარეობიდან გადადგომის მიუხედავათ, შეხედულებებს, კომიტეტის სახელით გამოთქმულს, ფრიად სერიოზული მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ, რადგან ახალი თანამდებობა, რომელიც მან მიიღო, ისე მჭიდროთ არის დაკავშირებული ამ კომიტეტის მიზნებთან, რომ მის აზრებს არა ნაკლები წონა ექნება მომავალშიც ამ კომიტეტის მუშაობისათვის.

### ამერიკული კომიტეტის პოლიტიკა

„ჩვენი პოლიტიკა — ამბობს ბ. კერკი — არის **განთავისუფლება ყველასი, თავისუფლება ყველასთვის.** მხოლოდ ასეთი პოლიტიკა ეგუება როგორც ისტორიულ სიმართლეს, ისე პრაქტიკას ჭეშმარიტი თავისუფლებისას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მხოლოდ ასეთი პოლიტიკა არის მისაღები საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა დიდი უმრავლესობისათვის, რომელნიც მისწრაფიან თავისუფლებისაკენ. ჩვენ დარწმუნებული ვართ რომ მხოლოთ ასეთი პოლიტიკა არის მისაღები ამერიკის ხალხისათვის და სხვა თავისუფალ ერებისათვის მთელ მსოფლიოში, რომელთაც უყვართ თავისუფლება და იბრძვიან თავისუფლების სახელით წინაალმდეგ ტირანიისა".

## ორი უკიდურესება

„ანტიდემოკრატიული და რასისტული თეორიები დამონებულ ერებში, თუნდაც იგი ერთა თვითგამორკვევის და დამოუკიდებლობის უზრუნველ საყოფათ იყოს გამოყენებული, ამერიკულ კომიტეტს უარყოფით მოვლენათ მიაჩნია. „ამ წინდაუხედავ და ჭკუამოკლე პოლიტიკას შეუძლია, ამბობს ის, მოიყვანოს მხოლოდ გამაგრება საბჭოთა ტირანიის, შესუსტება და დისკრედიტაცია განმათავისუფლებელი მოძრაობის, ხოლო კომუნიზმის დაცემის შემდეგ კი შექმნის ისეთ რეჟიმს, რომელიც დამყარებული იქნება სიძულვილსა და ძალ-მომრეობაზე.

წარსულ ომში ამერიკის ხალხი იბრძოდა ისეთ პოლიტიკურ პრინციპზე დამყარებული რეჟიმის წინააღმდეგ; ჩვენ არც ახლა დაუჭერთ მხარს ასეთ რეჟიმს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არც ამერიკის ხალხი, არც საბჭოთა კავშირის ერები არ გვაპატიებენ იმ ტრაგიკულ შეცდომას, რომელიც აუცილებლათ უნდა მოყვეს ამგვარ პოლიტიკის წარმოებას. თავისუფლების მოპოვება შეიძლება მისი პრაქტიკული გამოყენებით და არა რაიმე სხვა გზებით და საშვალებებით. დემოკრატია არ შეიძლება მიღწეულ იქნეს არა დემოკრატიული მეთოდებით.

მეორე მხრით, არსებობენ ისეთი ჯგუფები, რომელნიც ებრძვიან რა საბჭოთა კავშირის „დანაწილებას", ხშირათ გვიბადებენ შიშს, რომ მათგან გათვალისწინებული მომავალი სახელმწიფოებრივი წყობილება ყველა ერებს, გარდა ველიკოროსებისა, უარს ეტყვის თვითგამორკვევის უფლებაზე და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს ამ ერების სრულ დამოუკიდებლობას, თუნდაც მათი სურვილი კანონიერი და დემოკრატიული გზით იქნეს გამოთქმული. ასეთი პოზიციაც უეჭველათ მავნებელია გაერთიანებული ანტისაბჭოური ბრძოლისათვის.

თანამედროვე ისტორია გვიჩვენებს, რომ თვითცნობიერების გაღვიძება ეროვნულ დაჯგუფებათა შორის, საიდანაც იბადება მისწრაფება დამოუკიდებლობისადმი, მეტად რთული პროცესია, საკმაო მრავალგვარი საშიშროებით. წარმოადგენს ასეთი მოძრაობა პროგრესიულ თუ რეგრესიულ მოვლენას — ეს მრავალ ფაქტორებზეა დამოკიდებული. ამერიკის შეერთებული შტატები მაგალ. შექმნილია მრავალი რასიულ ჯგუფებისა, მრავალ სარწმუნოების მიმდევართა და ეროვნებათაგან, რომელნიც უკვე დიდი ხანია დარწმუნდენ იმაში, რომ მათი ნამდვილი დემოკრატიული ინტერესები საუკეთესოთ დაცვას პოულობენ ერთმანეთის ალიანსში, ერთმანეთის გაგებაში და სხვადასხვა თვალთახედვის გაერთიანებაში. ასეთ პირობებში პრობლემა „ეროვნებათა" სრულიად არ იჩენს თავს.

მსოფლიოს სხვა ადგილებში ისტორიის პროგრესიულ მსვლელობას საკმაოთ ხშირათ დაურღვევია სახელმწიფო ორგანიზმი დახავსებულ იმპერიებისა და მათ ადგილას შეუქმნია ეროვნული სახელმწიფოები, რომელთა წარმოშობის მძიმე ტკივილებს ზოგჯერ დიდი საშიშროებაშიაც კი ჩაუგდია მთელი კაცობრიობა".

## მომავალი წყობილება

„უსაშინელესი შეცდომა იქნებოდა საზღვარგარეთიდგან, საბჭოთა კავშირში მყოფ ერთა თანხმობის გარეშე, გამოგვეცხადებია მომავალი სახელმწიფოებრივი ფორმა რუსის ხალხის, ან სხვა რომელიმე ეროვნებისა. ეს იქნებოდა სრული წინააღმდეგობა იმ დემოკრატიულ პრინციპებთან, რომელთაც ჩვენ ვაღიარებთ. ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ თვით ერებისაგან, შემდეგათ საკუთარი განსჯისა. **ბუნებრივი სუვერენობა**, რომელიც მათ წართმეული აქვთ დღეს, მაინც **მათ ეკუთვნის** და ის არ შეიძლება რომელიმე ჯგუფისაგან იქნეს მითვისებული, იქნება ეს ჯგუფი საბჭოთა კავშირის შიგნით, თუ მისი საზღვრების გარეთ.

ამიტომ პოლიტიკა, რომელსაც მისდევს ამერ. კომიტეტი, ნათელი დასანახავი უნდა იყოს ყველასათვის, ვისაც აქვს რწმენა თავისუფლების. მისი შინაარსი მარტივია — **განთავისუფლება**.

ხოლო აირჩევენ მომავალი განთავისუფლებულნი მოქალაქენი საბჭოთა კავშირისა ცენტრალისტურ, ფედერატიულ თუ ცალკე დამოუკიდებელ ფორმას მართველობისას — ამ საკითხში ჩვენ ნებას არ მივცემთ ჩვენს თავს, რომელიმე ფორმას მივანიჭოთ უპირატესობა".

## ემიგრაციის უფლებანი

„ამბობენ, რომ „დევნილობაში ყოფნა აკვანია ნაციონალური იდეებისა". საზღვარ-გარეთულ ემიგრაციას აწევს დიდი და საპატიო მოვალეობა: გულდასმით და სიყვარულით შეისწავლოს პრობლემები, რომელიც დაუდგება წინ განთავისუფლებულ საბჭოთა კავშირის ერებს. მას შეუძლია ამით დიდი განძი შეიტანოს საბჭოთა ერების ისტორიაში მათი განთავისუფლების შე-

მდეგ. ამიტომ არავის არ აქვს ნება წინ გადაუდგეს ემიგრაციის უფლებას — გაარკვიოს და მხარი დაუჭიროს ამა თუ იმ წინასწარ გათვალისწინებულ ფორმას მომავალ სახელმწიფოებრივ წყობილებისას. მაგრამ ის, ვინც ქადაგებს ამ საკითხის თვითნებურათ და არადემოკრატიულათ გადაწყვეტას, ის ხელს უშლის ყველა იმათ, ვინც თავისუფლების სახელით იბრძვის ბოლშევიზმის, როგორც ასეთის, წინააღმდეგ.

ამოცანა, რომელიც დგას ჩვენს წინაშე დიდზე-დიდია, იგი მოითხოვს გულწრფელ და უანგარო თანამშრომლობას ყველა ჩვენთაგან. ჩვენ უნდა დიდი სიდინჯით, თავდადებით მივუდგეთ მის გადაჭრას, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მსოფლიოს თავისუფალ ერთა კავშირი საბჭოთა ხალხებთან, მოგვიტანს საბოლოო გამარჯვებას. თვით იდეალები და ისტორია დასავლეთის ქვეყნების თავისუფალ ერებისა არის ყველაზე საიმედო გარანტია იმის, რომ სტალინის დიქტატურისაგან განთავისუფლების შემდეგ შეიქნება ისეთი პირობები, რომელნიც უზრუნველყოფენ საბჭოთა კავშირში შემავალ ერთა უფლებას თავისუფლათ განაგონ თავისი პიროვნული და ეროვნული ცხოვრება“.

## რ ა დ ი ო.

### „დანაწილება“ თუ „მთლიანი და განუყოფელი“

მეორე გამოსვლის დროს, რომელსაც ეწოდება „მუსაიფი“, ბ. ადმ. კერკი უფრო მარტივათ იძლევა პასუხს ზემო აღნიშნულ საკითხებზე. ამიტომ მოგვყავს იქიდანაც დამახასიათებელი ადგილები:

**ადმ. კერკი.** „გერმანიაში ავაშენეთ რადიო-სადგური და უნდა მივაწოდოთ დაჩაგრულ ერებს სიმართლე და განსაკუთრებით უნდა ახალგაზრდობას საბჭოთა კავშირში ჩავუნერგოთ იდეა უკეთესი მომავლისათვის ბრძოლისა.

**კურგანოვი** (ხალხოსანი). იქნება თუ არა გადაცემა რუსეთის დანაწილების იდეისა? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი რადიო-გადაცემა ჩამოგვაშორებს ჩვენ რუსის ხალხს.

**ადმ. კერკი.** მე მიმაჩნია, რომ რუსეთის დანაწილების ქადაგება ვნების მომტანი იქნებოდა ჩვენი საქმისათვის; ის მხოლოდ ხელს გაუმართავდა სტალინს და მე იმედი მაქვს, რომ ისინი, ვინც იქნებიან ხელმძღვანელი რადიოსი, თავს შეიკავებენ ასეთი რამის გადაცემისაგან.

**ვილიამსი** (ამერიკულ კომიტეტის წევრი). მე მინდა დავუმატო, რომ ამ გადაცემებში უნდა ავიშოროთ აგრეთვე „ერთი და განუყოფელი“ რუსეთის იდეის ქადაგებაც.

**სმირნოვი** (ხალხოსანი). ჩვენ ვფიქრობთ, რომ სეპერატისტები არ გამოხატავენ რუსეთის ერთა სულიერ განწყობილებას და სეპერატისტული პროპაგანდა მოახდენს იქ არასასურველ შთაბეჭდილებას.

**ადმ. კერკი.** ამერიკის კომიტეტი მძიმე მდომარეობაშია ჩაყენებული. ერთი მხრით კომიტეტს უსაყვედურებენ, რომ იგი სეპარატისტებს აყვაო, მეორე მხრით კი ბრალს სდებენ იმაში, რომ მხოლოდ რუსებს მიყვებაო. ჩვენ ვცდილობთ ავიღოთ შუათანა ხაზი და შევაერთოთ ერთნი და მეორენი. ეს ძალიან ძნელია, მაგრამ მაინც ვცდილობთ მოვაწყოთ მათი საერთო მუშაობა და იმედი მაქვს რუსული ორგანიზაციები დახმარებას აღმომიჩენენ ამაში.

**კურგანოვი** (ხალხოსანი). ხალხოსნები ერთსულოვნათ მივესალმეთ ადმ. კერკის არჩევას ამ. კომიტეტის თავმჯდომარეთ. ჩვენ გვსურდა და გვსურს ამ კომიტეტთან თანამშრომლობა და იმედი გვაქვს რომ ეს თანამშრომლობა მალე მოწესრიგდება.

**ადმ. კერკი.** ამერიკული კომიტეტი არსებობს მხოლოდ რუსეთის ერთა განთავისუფლებისათვის: როგორც კი რუსეთი განთავისუფლებული იქნება, ამერ. კომიტეტი შესწყვეტს თავის მოქმედებას. შემდეგ რუსეთის ერებმა და მათმა პარტიებმა თვითონ უნდა მოაწყონ თავიანთი სახელმწიფო, მარა მანამ კი ჩვენ უნდა ვაწარმოოთ შეერთებული ბრძოლა კომუნიზმის წინააღმდეგ. მიიღეთ თქვენ ბ. ცინცაძის წინადადება? როგორია თქვენი მისდამი დამოკიდებულება?

**კურგანოვი.** ჩვენ ის მივიღეთ მხოლოდ გუშინ და ჯერ არ გაგვიხილავს. ზეგ გვექნება მასზე მსჯელობა.

**ადმ. კერკი.** ჩვენ ძალიან გვაინტერესებს პასუხი რუსული ორგანიზაციების და ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ თქვენი პასუხი იქნება დადებითი“.

ბ. ცინცაძის წინადადება კი სხვათა შორის შეიცავდა დამოუკიდებლობის უდავოთ აღიარებას იმათთვის, ვისაც სახელმწიფოებრივი ცხოვრება ქონდა, საერთაშორისოთ იყო ცნობილი და დაპყრობილ იქნა ძალით ბოლშევიკურ ხელისუფლების მიერ.

მაშასადამე მეტი განმარტება, ვფიქრობთ, საჭირო არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პ რ ე ს ა

გაზეთ "Н. Р. С,", ივლისის ნომერში მოთავსებულია ბ. დალინის წერილი სათაურით: „ნაციონალური აღრევა“ (Сумбур), რომელიც ეხება საქართველოს განსაკუთრებულ უფლებრივ მდგომარეობას და მის ცნობას რუსულ ორგანიზაციების მიერ, ამიტომ ვათავსებთ ვრცელ ამონაწერს ამ წერილიდან:

„რამდენათ უკანასკნელ წლებში რთულდებოდა ინტერნაციონალური ატმოსფერა, იმდენათ ამერიკის შერ. შტატებში იზრდებოდა შეგნება იმის, რომ მთავრობის მაშინის ჩარჩოების გარეშე საჭიროა ახალი ორგანოები შესასწავლათ რუსეთის პრობლემისა და დასახმარებლათ იმ ძალებისა, რომლებიც სასარგებლო იქნებოდა საბჭოთა იმპერიალიზმთან ბრძოლაში. პირები და ორგანიზაციები, რომლებმაც სწორეთ ორი წლის უკან დაიწყეს მოლაპარაკება ამ საკითხების შესახებ და რომლებმაც შემდეგ შექმნეს ამერიკული კომიტეტი რუსეთის ხალხების თავისუფლებისათვის საბრძოლველათ, არა არიან დაწვრილებით მცოდნენი და არც საკმარისათ მომზადებულნი ახალი ფუნქციებისათვის. მათ დაისახეს მეტად ფართე, არსებითად თითქმის განუხორციელებელი მიზანი: 1. დაყრდნობოდენ რუსის ხალხის დახმარებას და მის ბრძოლას კომუნისტების წინააღმდეგ. 2. გაერთიანებიათ თითქმის მთელი ემიგრაცია (აშკარა მონარქისტების გარდა) და კერძოთ სავალდებულოთ გაეხადეს ნ.დ.ს. (სოლიდარისტების) აუცილებელი მონაწილეობა და 3. ცდილიყვენ რუსული ჯგუფების გაერთიანებას ნაციონალურ-სეპერატისტულ მიმდინარეობებთან. — ეს პირობაც ულტიმატიური ფორმით იყო დასმული.

ძალიან მალე გამოირკვა, რომ ასეთი პროგრამის განხორციელება შეუძლებელია. მთელ რიგ თათბირებში, რომელსაც ადგილი ქონდა გერმანიაში და რომელშიდაც მონაწილეობას იღებდა ხუთი რუსული დაჯგუფება და 6-7 ეროვნული „უმცირესობის“, ნაციონალური საკითხი გახდა დაუძლეველი დაბრკოლება მთლიანი ორგანიზაციის შექმნაში; მთავარმა „ნაციონალურმა ჯგუფმა“, უკრაინის სეპარატისტებმა, უარი განაცხადეს მონაწილეობაზე, სანამ არ იქნებოდა მიღებული სხვების მიერ მისი მთავარი მოთხოვნილება. სხვები, პატარა ჯგუფები, თითქმის არ მალავდენ თავის გაძლიერებულ სეპარატისტულ ტენდენციებს. ყველაფერი გათავდებოდა სრულიად უშედეგოთ, რომ რუსეთის მეთაურებს არ გაეკეთებიათ ერთი დიდი პრინციპიალური დათმობა.

ქართული კოლონია პარიჟში, რომელსაც ინტელექტუალურის მხრით უჭირავს თვალსაჩინო ადგილი ემიგრაციაში, მუშაობს 1918-21 წ.წ. ქართული მთავრობის ყოფილი მოღვაწეების ხელმძღვანელობით. მისი ურყევი პრინციპი ამ ოცდაათი წლის განმავლობაში იყო საქართველოს სუვერენობის აღდგენა, დამოუკიდებლათ იმისა, ექნებოდა მას საქმე სტალინის თუ თავისუფალ რუსეთთან. არავითარი ფორმულა „ეროვნული თვითგამორკვევისა“ მომავალში, არც პროგრამა სახალხო კენჭის ყრის — მათ არ აკმაყოფილებს. მათ წარმოდგენაში დიქტატურის დაცემა მოსკოვში თუ სამხედრო დამარცხება საბჭოთა კავშირისა, გულისხმობს საქართველოს გამოყოფას ავტომატიურათ. სანამ არ იქნება მიღებული სხვა ჯგუფების მიერ ეს პროგრამა, ამათ, უკრაინის სეპერატისტებივით, განაცხადეს უარი სხვებთან ერთად ერთ სტოლის გარშემო დასხდომაზე.

მაშინ, ვილაცამ, უეჭველათ, არა ზევიდან შთაგონების გარეშე, წინადადება მისცა რუსეთის ჯგუფების მეთაურებს საიდუმლო პოლიტიკური მანიოვრი გაეკეთებიათ. გამოეცხადოს ქართველებს (პარიჟელებს), რომ ქართველებისათვის იქნება გაკეთებული გამონაკლისი და არავითარი კენჭის ყრა საჭირო არ იქნება; საქართველო იქნება ჩამოშორებული რუსეთიდან, როგორც კი გახდება ეს შესაძლებელი ფიზიკურათ და პოლიტიკურათ. მაგრამ ეს არ უნდა გამოქვეყნებულიყო. რუსეთის ხუთი ჯგუფის მეთაურებმა ასეთი რწმუნება მისცეს ქართველებს ვისბადენის კონფერენციაზე და მით მიაღწიეს მათ მონაწილეობას თათბირში. შემდეგ კი მიხვდეს რა ქართველებს, სტოლს შემოუსხდა კიდევ ხუთი ნაციონალური ორგანიზაცია.

ამ ვალდებულობის აღება არ იყო გამოტანილი საჯაროთ, რომ არ აჯანყებულიყვენ უბრალო წევრები რუსული ჯგუფებისა თავის მეთაურების წინააღმდეგ. ეს ერთი და მეორე რომ სხვა ეროვნული მიმდინარეობანი, გაიგებდენ რა ამას, წარმოადგენდენ ანალოგიურ მოთხოვნებს".

შემდეგ იწყება კრიტიკა, რომლის მთავარი საბუთები შეთანხმების ჩ ა შ ლ ი ს ა კ ე ნ არის მიმართული. თან ბ-ნი დალინი ჩვენ გვაშინებს ოსმალეთის ხელში ჩავარდნის საში-

შრომებით, ამერიკელების მიერ შეიარაღებული ოსმალო ჯარებით თუ რუსეთს ჩამოშორდით; ხოლო რუსებს „ავსტრია-უნგრეთის“ ბედით ემუქრება, თუ მათ სტალინის მიერ ამ უკანასკნელ ცამეტი წლის (მეორე მსოფლიო ომის დაწყების) შემდეგ დაპყრობილ ქვეყნების გარდა, რომელიმე ერს მისცეს საშუალება განთავისუფლების, განსაკუთრებით კი თუ საქართველოს დამოუკიდებლობა მიანიჭეს. ამ საბუთებზე ჩვენ პასუხის გაცემა ზედმეტათ მიგვაჩნია. არც ერთი ერი რუსეთის ტერიტორიაზე არ გვეგულება ისეთი, რომ თავის-თავის მოვლა ვერ შესძლოს, ან ის მაინც ვერ გადასწყვიტოს გონივრათ, ცალკე ყოფნა ურჩევნია, თუ რომელიმე მეზობელთან თუ მეზობლებთან **ნებაყოფლობით** კავშირში შესვლა, როგორც თანასწორუფლებიანი წევრის. და ბ. დალინისგან ჭკუის დარიგება არ ესაჭიროებათ.

აქ გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ ზოგიერთი ფაქტები, რომელთაც ბ. დალინი შეგნებულათ ამახინჯებს, რომ ქართველთა და სხვა ერებ შორის ურთი-ერთობა გაამწვავოს და შეთანხმება ჩაფუშოს. ამ მ ი ზ ნ ი თ ის „შეთქმულებას“, „საიდუმლო მანიოვრებს“ და სხვა ასეთ მახინაციებს გვიხატავს იქ, სადაც არაფერ ამის მსგავსს ადგილი არ ქონია.

მართალია ის, რომ ვისბადენში ხუთმა რუსულმა ორგანიზაციამ აღიარა, რომ საქართველოს ახალი პლებისციტი არ ესაჭიროება, რომ მას უფლება აქვს თავის დამოუკიდებლობა აღადგინოს უშუალოთ კომუნისტების დაცემის შემდეგ. ეს აზრი იყო მათგან გამოტანილი თავის ცალკე კრებაზე, ისე რომ ჩვენ ამის მოთხოვნაც არ დაგვჭირვებია. ჩვენმა წარმომადგენლებმა ეს გარემოება აცნობეს ყველა ეროვნებების წარმომადგენლებს ცალკე და პლენუმის სხდომაზედაც გამოაცხადეს იგი, რათა არავითარი გაუგებრობას არ ქონოდა ადგილი ერთა შორის. ეს აგრეთვე გაცხადებულიც იყო ჩვენი „ბიულეტენის“ პირველ ნომერში გასულ 1951 წ. ნოემბერში.

არც რუსეთის წარმომადგენლებს გაუკეთებიათ ამ აქტიდან რაღაც „საშინელი საიდუმლოება“. ბ. მელგუნოვი მარჯვენა ფრთაზე მდგომი რუსულ ორგანიზაციებში, თავის ჟურნალ „ვოზროჟდენიე“-ში (№ 15) ადრევე აცხადებდა, რომ საქართველოს უფლებას დამოუკიდებლობისას სცნობს თანასწორათ უკანასკნელ 13 წლის განმავლობაში დაპყრობილ რესპუბლიკებისა; ე. ი. ბალტიის სახელმწიფოებისა.

ბ. ნიკოლაევსკიმ, „ხალხთა თავისუფლებისათვის მებრძოლ ლიგის“ წარმომადგენელმა საჯაროთ აღიარა ეს მიუნხენში თავის მოხსენებაზე და დაასაბუთა. ამ რიგათ არც მალავენ ქართველები, არ მალავენ რუსები.

მაშ სადღაა აქ „საიდუმლო მანიოვრები“ და სხ. მახინაციები?

ბ. დალინს შეიძლება ის უკლავს გულს, რომ ქართველი დელეგატები თავის უფლებებში დაკმაყოფილების შემდეგაც განაგრძობენ ბრძოლას იმისთვის, რომ საერთოდ ეროვნულ საკითხის სამართლიან გადაჭრას შეუწყონ ხელი და ამით მტკიცე ფრონტი შექმნან, როგორც სტალინის დიქტატურის, ისე დალინისებური „ველიკოდერჟავნიკულ“ ტენდენციების წინააღმდეგ და ასე გზა გაუხსნან ერისა და პიროვნების თავისუფლებას, რომლის გარეშე არც საბჭოთა ტერიტორიაზე დამყარდება სიწყნარე, და ვერც მსოფლიო მშვიდობიანობა იარსებებს.

..................

## ამერიკული კომიტეტის ახალი თავმჯდომარე

ამერიკული კომიტეტის თავმჯდომარე ბ. ალ. კერკი დაინიშნა დირექტორათ ბიუროსი, რომელიც ხელმძღვანელობს „ფსიქოლოგიურ ომს“ და ექვემდებარება ნაც. უშიშროების საბჭოს.

მის ნაცვლათ, ამერიკულმა კომიტეტმა აირჩია თავის თავმჯდომარეთ ვიცე-ადმ. ლესლი სტივენსი. სტივენსი 1951 წლამდე იმყოფებოდა სახელმწიფო სამსახურში სხვადასხვა თანამდებობაზე, როგორც თვით ამერიკაში, ისე უცხოეთში. 1947-49 წ.წ. ის იყო ამერიკის საელჩოს საზღვაო ატაშეთ მოსკოვში. კარგათ იცის რუსული ენა, რის მეოხებით შეეძლო საკმარისათ გასცნობოდა საბჭოთა კავშირის ერების, როგორც ყოფა-ცხოვრებას, ისე ყველა იმ პრობლემებს, რომელიც დგას იქ. მისმა წერილებმა ამ პრობლემების შესახებ ჟურნალ „ლაიფ“-ში და „ატლ. მონტი“-ში საერთო ყურადღება მიიქცია.

თავის გამოსათხოვარ სიტყვაში ალ. კერკმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ის ძველებურათ მხურვალე და მუდმივი თანამგრძნობი იქნება იმ ხალხების, რომელნიც იტანჯებიან და გმინავენ კომუნისტური რეჟიმის მძიმე უღლის ქვეშ, და რომ მას მომავალშიაც ისეთივე ცოცხალი ინტერესი ექნება ამერიკულ კომიტეტის მიმართ, როგორც დღემდე და უსურვებს ყველა მასში მონაწილეთ სრულ წარმატებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინტერნაციონალური იურისტების ყრილობა

(დელეგატ გ. ავალიანის მოხსენებიდან)

25 ივლისს ბერლინში მოწვეული იყო ინტერნაციონალური იურისტების ყრილობა. ყრილობა მოხდა პოლიტიკურ უმაღლეს სასწავლებლის შენობაში. სხდომის დარბაზი სავსე იყო დელეგატებით და საპატიო სტუმრებით.

ყრილობის მიზანია აღმოსავლეთ გერმანიაში შექმნილი ფორმალურ-იურიდიული და რეალურ-ფაქტიური მართველობის წინააღმდეგობათა გაშუქება.

44 სახელმწიფოს მიერ წარმოგზავნილი დელეგატები არიან ამ დღის მონაწილენი, რომელთა რიცხვი 200-დე აღწევს, სტუმრები ალბად ოთხჯერ მეტი. საბჭოთა რუსეთიდგან არიან მხოლოდ ემიგრანტი რუსები და ზოგი საბჭოთაგან დაპყრობილი ქვეყნები, მათ შორის საქართველო.

ამ ყრილობაზე მოწვეული იყო დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ევგენი გეგეჭკორი, რომელსაც პირადათ არ ვიცნობდი და ვუცდიდი შემთხვევას — გავცნობოდი. როგორც კი დავინახე დელეგატთა შორის ხნიერი, ქ ა რ თ უ ლ გამომეტყველების კაცი, მაშინვე მივედი. ის საუბრობდა ერთ გერმანელთან, მე მივდექი გვერდით და ველოდები საუბრის დამთავრებას. მათ საუბარს ყურადღებით ვისმენდი და იმავე დროს თვალს ვადევნებ დარბაზში გამოფენილ დროშებს და პლაკატებს, რომლებზედაც აღნიშნულია ყრილობის მონაწილე სახელმწიფოების სახელწოდება. დაამთავრა მან საუბარი გერმანელთან განსაკუთრებული მოთხოვნით, გერმანელმა აღუთქვა ყოველივეს გასწორება და გავიდა დარბაზიდან. ბატონმა ევგენიმ, უთუოდ მიცნო რომ ქართველი ვარ, რადგან იცოდა ჩემი მონაწილეობის შესახებ და ქართულ ენით ხმამაღლა მომმართა, მე წარვსდექი წინ და მივესალმე. შეხვედრის მოკლე საუბრის შემდეგ ის მეკითხება: „ატყობ რა გვიქნეს“ — ოდნავ გაჯავრებული და განაგრძო: „ჩაუწერიავართ რუსეთის დელეგატებში, არსად საქართველოს ხსენება არ არის; მე განუცხადე საორგანიზაციო კომისიას — თუ არ გამოასწორებენ ამ გარემოებას მე ვტოვებ ყრილობას და მივდივართქო; დიახ, მე წავალ და შენ როგორც გინდაო, მომმართა მე. „თქვენ თუ წაბრძანდებით ბატონო ევგენი მე ვიღას დაურჩები აქ“ — უპასუხე მე და თან მორიდებით დავსძინე: „ვადროვოთ ცოტაოდენი, მან თქვენ დაგპირდათ ყოველივე ნაკლის გამოსწორება და ბოდიშიც მოიხადა, ეს ყოველივე მე თითონ მოვისმინე საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარისაგან. „ვნახოთ რა იქნება“ სთქვა მან და განაგრძო „ამას მე არ მოველოდი გერმანელებისაგან“ დაუმატა უკმაყოფილებით.

სულ მოკლე დროში ბ. ევგენის მოთხოვნილებები შესრულდა: დელეგატთა სკამებზე წარწერა, სახელმწიფოს სახელწოდება, გვარი და სახელი, დროშა დარბაზში, დროშა პოლიტიკურ უმაღლეს სკოლის წინ, სადაც ყრილობა მიმდინარეობდა, შონებერგ რატჰაუზის წინ, შილერის თეატრის წინ, „რატჰაუსის კელერ“ სასადილოში, სადაც დელეგატები ყოველ-დღიურად ორ საათზე მეტ დროს ერთად ატარებდნენ. რამდენს აინტერესებდა ჩვენი დროშა, თუ რას ნიშნავდა შინდის ფერ ფონზე შავი და თეთრი. ასეთ შეკითხვაზე ვაძლევდი პასუხს: დიდი სისხლი, მწუხარება და სინათლე, თან საქართველოს მოკლე ისტორიაც ზედ ერთოდა ხოლმე. ასე რომ ის პატარა ქართული დროშამ, რომელიც 44 სახელმწიფოების დროშებში იდგა მაგიდაზე, შეასრულა თავისი დანიშნულება.

10½ საათზე ყრილობა გახსნა თავისუფალ იურისტების საგამომძიებელო კომისიის ხელმძღვანელმა ტჰეო ფრიდენაუმ.

პირველი მისასალმებელ სიტყვით გამოვიდა გერმანიის კავშირის იუსტიციის მინისტრი დოქტორი დეჰლერი (ბონიდან).

აგრეთვე მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ბერლინის ობერ ბურგერ-მაისტერ პროფესორ დოქტორ ერნესტ როიტერმა, რომელიც ლონდონიდან ჩამოფრენილი, აეროდრომიდან პირდაპირ ყრილობას გამოეცხადა და საზოგადოებასთან ბოდიში მოიხადა, რომ მისი დღევანდელი გამოსვლა უეცარი და მოუმზადებელია. ობერ ბურგერ-მაისტერმა გამოსთქვა იმედი, რომ ეს

---

ამავე დროს ამერიკულმა კომიტეტმა თავმჯდომარის ამხანაგათ აირჩია ბ. იტის სვიფტი (ნიუიორკიდან), რომელიც იქნება ამავე დროს წარმომადგენელი ევროპაში დონ ლევინის ნაცვლად. სვიფტი დიდხანს იყო დასავლეთ ევროპაში ამერიკის ჟურნალ-გაზეთების კორესპონდენტათ.

ყრილობა არ იქნება პირველი და უკანასკნელი, და რომ ის წარმართავს თავის მუშაობას სრული სამართლიანობის დასამყარებლად და იზრუნებს მის დასახულ ღონისძიებათა რეალიზაციისთვის.

ბერლინის ორ მილიონიანი მოსახლეობა, დასძინა ორატორმა, ყოველთვის იბრძოდა, იბრძვის და იბრძოლებს სრული სამართლიანობის დასამყარებლად მომავალში.

დაბოლოს ყრილობას უსურვა ნაყოფიერი მუშაობა და იმედი გამოსთქვა სამართლიან გადაწყვეტილებების მიღების.

მისასალმებელ სიტყვების დამთავრების შემდეგ ყრილობამ აირჩია პრეზიდიუმი ხუთი დელეგატის შემადგენლობით შემდეგ სახელმწიფოების წარმომადგენელთაგან: კანადის, ბრაზილიის, პაკისტანის, დანიის და საქართველოსი.

შესდგა აგრეთვე საგამომძიებელო კომისიები სამართლის ოთხი დარგის: საჯარო სამართლის — თავმჯდომარე ურაგვაიდან, სისხლის სამართლის — თავმჯდომარე იტალიიდან, სამოქალაქო და სავაჭრო სამართლის — თავმჯდომარე შვეციიდან და შრომის სამართლის — თავმჯდომარე ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

14 საათზე, პლენუმის სხდომაზე, რეფერატი წაიკითხა პროფესორ-დოქტორ დარმშტატერმა ჰაიდელბერგიდან. თ ე მ ა: „სამართალი და ადამიანთა საზოგადოება“ (სამართლის ფილოსოფია).

შემდეგი რეფერატი იყო დოქტორ ტჰეო ფრიდენაუს. თემა: „საბჭოთა ზონის გერმანიის სამართლის სიტუაცია, როგორც მაგალითი რკინის ფარდის იქით შექმნილ მდგომარეობის“.

მომხსენებელმა განაცხადა: ჩემი ერთი რეფერატით გაშუქება საბჭოთა ზონაში შექმნილ სამართლის სიტუაციის შეუძლებელია. საბჭოთა ზონა წარმოადგენს სულ სხვა სამყაროს, სადაც უსამართლობა გადაქცეულია სისტემათ და არ არსებობს სამართლის ელემენტარულ ნორმების დაცვა.

1945 წლის შემდეგ რკინის ფარდის იქით მოქცეულ სახელმწიფოების სამართალი წარიმართა სულ სხვა გზით. ბევრ რასმეს მოგვითხრობენ გამოხვეწილი იურისტები იმის შესახებ, თუ როგორ პირობებში უხდებოდათ მათ მუშაობა. ჩემი მოხსენება, აღნიშნა ფრიდენაუმ, შეიძლება მხოლოდ წინასიტყვაობა იყოს იმ სხდომების, რომელსაც საგამომძიებლო კომისიები ხვალინდელ დღიდან ჩაატარებენ, რომელთაც ხელთ ექნებათ შეგროვილი მასალები და მოწმეების დაკითხვა. უკანასკნელ 4 წლის მანძილზე საბჭოთა ზონის გერმანიიდან დასავლეთ გერმანიაში გადმოსულია 1718 მოსამართლე, პროკურორი და სხვა ადმინისტრატიულ დარგში მომუშავე იურისტები, რომლებმაც შეუძლებლად მიიჩნიეს მუშაობა იქ, სადაც უსამართლობა სისტემათაა გადაქცეული.

დოქტორ ფრიდენაუმ შეეხო ქონებრივ სამართლის დაცვის უფლებას, შრომის სამართლის, მუშათა ცხოვრების პირობებს, მათი შრომის ხელფასის ანაზღაურებას, საბინაო საკითხს, ასევე მოქალაქობრივ უფლების დაცვას და სხვა...

მან იმედი გამოსთქვა, რომ ყველა ის ისტორიულ დოკუმენტებით, დამამტკიცებელ საბუთებით, მოწმეთა დაკითხვით, რასაც ყრილობა განიხილავს, გამოიტანს შესაბამისს გადაწყვეტილებას, იზრუნებს გადაწყვეტილებების აღსრულებისთვის, რათა ბოლო მოუღოს არსებულ უსამართლობას რკინის ფარდის იქით.

16 ივლისიდან საგამომძიებელო კომისიები შეუდგნენ მუშაობას.

ბატონი ევგენი გეგეჭკორი იყო წევრი საჯარო სამართლის კომისიის. მე კი ვიღებდი მონაწილეობას სისხლის სამართალში. ყველა კომისიებში აწარმოებდნენ მუშაობას თავიანთ დარგებში, ეცნობოდნენ და ამოწმებდნენ იმ მასალებს, რაც თავისუფალ იურისტების ორგანიზაციამ მის ხუთი წლის მუშაობის მანძილზე შეკრიბა. გამოცემულია ისტორიულ დოკუმენტთა ტომები. ათასობითაა მაგალითები უსამართებლოდ დასჯის, და აგრეთვე ყოველად უხეშად კანონების დარღვევის, იმ კანონების, რომლებიც მათივე გამოცემულია და არ ითვლება გაუქმებულად. მაგრამ არის მხოლოდ ფორმალ, რომ სამართლის სახელმწიფოს სახე ატაროს საბჭოთა უსამართლობის წარმოებამაც.

დაკითხული იყო მრავალი მოწმეები, მოსამართლეები, პროკურორები და სასამართლოს მდივნები, რომლებიც საბჭოთა ზონაში (გერმანიაში) მსახურობდნენ. მათ დაადასტურეს ყველა ის უსამართლობის ფაქტები, რასაც ადგილი აქვს აღმოსავლეთ გერმანიაში. ბევრი რამ მოუთხრეს კომისიებს თავიანთ პრაქტიკულ მუშაობის მაგალითებიდან, თუ როგორ აიძულებს პარტია მოსამართლეს, პროკურორს ან სხვა სასამართლო დარგის მუშაკებს, მისი ნება-სურვილი აღასრულონ. როგორ მისცეს მოსამართლეს ბრა-

ძანება განაჩენი გადაესწორებია, რადგან სასჯელის ზომა მცირეა და საჭიროებს უფრო მძიმე სოციალური დაცვის ღონისძიებას. დაკითხული იყვნენ აგრეთვე პატიმრებიც, რომლებიც თვეობით და წლობით წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდნენ ყოველგვარი ბრალდების წაუყენებლად. უამრავი მაგალითებით დადასტურდა ფაქტები პატიმრების ფიზიკურად წამებისა, — საგამომძიებლო კომისიამ შეამოწმა სხეულის ასოებში მიყენებული დაზიანებანი.

საგამომძიებლო კომისიებმა 3 დღის კვლევა-ძიების შემდეგ თავიანთი მუშაობა შეაჯამეს და გამოიტანეს საჭირო დასკვნები, რომელიც წარუდგინა ყრილობას ერთ მთლიან რეზოლუციის სახით.

29 ივლისს, 14 საათზე გაიხსნა პლენუმის სხდომა; პრეზიდიუმის თავმჯდომარემ სიტყვა მისცა მოხსენებისთვის პროფ. გიორგი გუნს, წინეთ პეტერბურგის მცხოვრებს, რომელიც ამ ჟამათ ამერიკაშია. თემა მისი მოხსენებისა იყო „საბჭოთა სამართლის წარმოშობა“. ნიჭიერმა მომხსენებელმა აღნიშნა საბჭოთა სამართლის წარმოშობა და მისი შემდგომი განვითარება, რომელსაც ჰყოფს 3 — ფაზათ: სამხედრო კომუნიზმის დროის სამართალი, ახალი ეკონომიური პოლიტიკის პერიოდი და მესამე — „სოციალიზმის“ მშენებლობის პერიოდი.

შემდეგ შეჩერდა საბჭოთა სამართლის წარმოებაზე. სამი ათეული წელიწადზე მეტი დროის მანძილზე განიცდის საბჭოთა უღელ ქვეშ მყოფი ერები იმ უსამართლობას, რაც ამ სამი დღის კვლევა-ძიების შედეგათ გაარკვიეს კომისიებმა და ნათელ ჰყვეს ყველა სახელმწიფოს წარმომადგენელთათვის.

მოხსენებით გამოვიდა აგრეთვე გამოჩენილი იურისტი რუმინეთიდან, ამჟამად მცხოვრები საფრანგეთში, პროფესორი კონსტანტინესკუ, მან დაიწყო ასე: ქალბატონებო და ბატონებო! ორშაბათს მე მოვისმინე ძველი პოლიტიკოსის საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ გეგეჭკორის სიტყვა საჯარო სამართლის საგამომძიებლო კომისიაში, სადაც ჩვენ ერთად ემონაწილეობდით. მე არ შემიძლია სიტყვა-სიტყვით არ აღვნიშნო ის, რაც ბ-ნ გეგეჭკორმა წარმოსთქვა, იმოდენათ ავტორიტეტული და მნიშვნელოვანია იყო ჩემთვის. და გადასცა ყრილობას ბ. გეგეჭკორის შემდეგი სიტყვა: „ბატონებო, სწორეთ რაც, დღეს აქ 44 სახელმწიფოს მიერ წარმოგზავნილმა დელეგატებმა, იურისპრუდენციის სწავლულმა ადამიანებმა გამოარკვიეთ და დაადასტურეთ, თუ რას წარმოადგენს საბჭოთა სახელმწიფოს სისტემა, თუ რამდენ უმართებულოა საბჭოთა კანონიერება და თუ რა ზიანი შეუძლია მიაყენოს ასეთმა სახელმწიფო წყობილებამ კაცობრიობას, სწორედ, ყოველივე ამას მე 30 წლის წინად ვამბობდი, და უმტკიცებდი მსოფლიოს მის საშიშროებას. ეს გახლდათ მიზეზი, რომ ვსთხოვდი შველას ევროპას. მაგრამ არავინ გამიგონა და შედეგიც ეს არის, რასაც დღეს ვხედავთ და რისთვისაც აქ ვართ თავშეყრილი“. პროფესორი კონსტანტინესკუმ განუცხადა ყრილობას — რომელსაც ბ-ნი გეგეჭკორი მისი სამშობლოს საშიშროებას ხედავდა და დახმარებას მოითხოვდა, უყურადღებოდ დასტოვეს, არ გაითვალისწინეს მოსალოდნელი საყოველთაო საშიშროება, რა თქმა უნდა ეს უდიდეს შეცდომად უნდა ჩაეთვალოს იმ დროინდელ პოლიტიკოსებს და სახელმწიფო ადამიანებს. მათი ადრინდელი უმოქმედობის შედეგებს ეხლა ვხედავთ. ვერ გაიგეს, თუ რა არის სამშობლოს აწიოკება. მე იმდროს მხოლოდ 7 წლის ვიყავი, მაგრამ ეხლა, რომელსაც დევნილობაში ვცხოვრობ, ვიცი, თუ რა არის სამშობლოს დაკარგვა და რა დიდი ღირებულება აქვს ასეთ დიდ პოლიტიკოსის სიტყვას“. ის შეჩერდა აგრეთვე თავისუფალ რუმინეთის და თანამედროვე, დაპყრობილ რუმინეთის სამართლის წარმოებაზე.

კამათში გამოვიდა ინდოეთის დელეგატი, ინდოეთის სოციალისტური პარტიის დამაარსებელი და ამჟამად მისი ხელმძღვანელი, განდის ყოფილი მდივანი, ბომბეის უმაღლესი სასამართლოს ადვოკატი — რუშატამ ტრიკამდას. მან ჯერ კიდევ ყრილობის გახსნის დღეს შემოიტანა წინადადება, რათა ყრილობაზე არა მარტო საბჭოთა ზონის გერმანიის საკითხი განხილულიყო, როგორც უსამართლობის მაგალითი, არამედ განხილული ყოფილიყო დამატებით ინდოეთის სამართლის წარმოებაც. წინადადება არ იქნა ყრილობის მიერ დაკმაყოფილებული; და მან, თვით ილაპარაკა ინდოეთის კანონიერების შესახებ, აღნიშნა, რომ სამართლის წარმოების ნაკლოვანებებს, უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, უსამართლობას არა მარტო საბჭოთა კავშირში და მის მფლობელობაში მოქცეულ ქვეყნებში აქვს ადგილი, არამედ ინდოეთშიაც. ორატორის უკმაყოფილება მიმართული იყო ინდოეთის წინანდელ მფლობელ სახელმწიფოს მიმართ.

შემდეგი სიტყვა ეკუთვნოდა ბ-ნ გეგეჭკორს;

ბ-ნ გეგეჭკორის სიტყვა ძირითადში მიმართული იყო ინდოეთის დელეგატის წინააღმდეგ, რომელმაც მრავალი დასდო ინდოეთის სამართლის მწარმოებლებს, როგორც უცხო სახელმწ. იძულების ქვეშ მყოფთ. ორატორი შეეხო რა ინდოეთის დელეგ. სიტყვას, გააკრიტიკა ის როგორც დაუსაბუთებელი და შეუდარებელი იმ დიდ საკითხთან, რომელზედაც დღევანდელი ყრილობა მსჯელობს; მან აღნიშნა: „ინდოეთის, ან ევროპის რომელიმე სახელმწიფოს მიერ უმნიშვნელო სამართლის ნორმის დარღვევას ადარებთ საბჭოთა სახელმწიფოს სრულ უსამართლობას? როგორ არ უნდა განასხვავოს ადამიანმა ეს ორი სრულიად სხვადასხვა გარემოება: ერთის მხრივ ის, რომ ამა თუ იმ სამართლის დარგში მომუშავე მოხელემ უკანონობა ჩაიდინა და ცალკეულ უმნიშვნელო დარღვევებს ჰქონდა ადგილი და მეორეს მხრივ კი იქეთ სახელმწიფო წყობილებას, რომელიც ერთიანად უსამართლობაზეა აგებული, რომლის მტკიცებას მე აღარ შევუდგები, რადგან ჩვენმა ჩატარებულმა მუშაობამ ცხად ჰყო ყოველივე ამის ჭეშმარიტება.

ასე შეუძლია იფიქროს იმ ადამიანმა, რომელსაც ჯერ კიდევ არ განუცდია და ვერც შეუგნია საბჭოთა საშინელების სუსხი. ის გარემოება, რომ ინდოეთში სამართლის წარმოება ჩვენს წინ გამოსულ პატივცემულ ორატორს არ მოსწონს და აცხადებს, ეს სხვა სახელმწიფოს გავლენით ხდებაო, არავითარ საბაბს არ აძლევს, ვინც არ უნდა იყოს, კარები გაუღოს საბჭოთა უსამართლობას და მსოფლიო კაცობრიობის საშინელება კიდევ უფრო გაზარდოს.

ჩვენ მოვალენი ვართ ჩვენი ერის წინაშე, დაპყრობილ, დამონებულ ხალხების წინაშე, გამოვნახოთ გზა, გზა ხსნისა და შველის. ისინი მოელიან შველას დასავლეთიდან და ამ მხრით ჩვენ გვმართებს ბევრის გაკეთება და ეს კი შეუძლია ჯერ კიდევ თავისუფლებაში მყოფ სახელმწიფოებს. (აქ მხურვალე ტაშის ცემით შეაწყვეტინეს მას სიტყვა). მე ვხედავდი, თუ როგორ შთაბეჭდილებას ახდენდა აუდიტორიაზე ბ-ნ ევგენის მგრძნობიარე სიტყვები. „ქალბატონებო და ბატონებო!“ განაგრძო მან დაბალი ხმით: ჩვენი ადამიანური შეგნება გვავალებს, რომ დღევანდელი ჩვენი აქ თავის შეყრა 44 სახელმწიფოს წარმომადგენლების, რომლებიც სრულიად და საქმეებით დარწმუნდნენ იმაში, თუ რას წარმოადგენს ის მეორე მსოფლიო, და რა ცხოვრების პირობებს განიცდიან იქ მომწყვდეული ერები, ამის დამამტკიცებელი საბუთებმა და უტყუარ დოკუმენტებმა თქვენს ხელთ გაიარა და თქვენვე შეამოწმეთ, დასკვნაც თქვენ გამოიტანეთ, — რა უნდა იყოს ყოველივე ამის შემდეგ ჩვენი ამ ყრილობის მოვალეობა? ის რომ შევიმუშაოთ ღონისძიებანი, რომელიც საბჭოთა საშინელებაში მცხოვრებ ერებზე გავრცელებულ უსამართლობას ბოლოს მოუღებს“. სიტყვის დამთავრების შემდეგ, ორატორი კათედრიდან საჯდომ ადგილამდე დარბაზმა ტაშის ცემით გააცილა. პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ყველა ორატორებს და სხდომა შესწყვიტა. (სადილის შესვენება). დარბაზი წამოიშალა, ბ-ონ გეგეჭკორთან მიდიან და მადლობას უხდიან დელეგატები, საპატიო სტუმრები. მე გვერდით ვიდექი, როდესაც ერთი გერმანელი დედა თვალ-ცრემლიანი მადლობას უხდიდა ხელის ჩამორთმევით და ეუბნებოდა „მე ყოველივე იმას, რაც თქვენ მოხსენით გადავცემ აღმოსავლეთ ბერლინის მცხოვრებ ქალებს და ბავშვებს, გადავცემ, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც ზრუნავს მათთვის“. ასევე მადლობას გამოსთქვამდნენ დევნილი იურისტები; განსაკუთრებულ სიმპატიას კი იჩენდნენ ბალტიის ქვეყნების წარმომადგენლები. ისინი იგონებდნენ 1918 წლის აქციას ე. ი. იმ დროს, როდესაც საქართველომ და ბალტიის ქვეყნებმა დამოუკიდებლობა ერთად მიიღეს.

ეს დღე პირადათ ჩემთვის უდიდესი დღე იყო. ჩვენი ქვეყანა ამ ყრილობაზე, შეიძლება ითქვას, პირველ ადგილზე გამოვიდა. (საბჭოთა კავშირის ერებიდან მხოლოდ საქართველო და რუსეთის დელეგატები იყვნენ მიწვეულნი). ეს საპატიო ადგილი საქართველოს შესძინა ბ-ნ გეგეჭკორის გამოცდილი და ენერგიულ მუშაობამ, რისთვისაც ყველა ქართველი მოვალეა დიდი მადლობა უძღვნას მას.

14 საათზე ნაშუადღევისა სხდომა გაიხსნა. სიტყვებით გამოვიდნენ, ურაგვაის, ჩეხოსლოვაკიის, შეერთებულ შტატების დელეგატები. ორატორები აჯამებენ კომისიების განვლილ მუშაობას, ყრილობის დღის წეს-რიგს სთვლიან ამოწურულად და მოითხოვენ საჭირო ღონისძიების მიღებას ფარდის იქით შექმნილ მდგომარეობის წინააღმდეგ.

ყრილობაზე მიღებული იყო რიგი რეზოლიუციებისა ერთ ხმად.

ყრილობის დადგენილება, რომ საბჭოთა კავშირი არის სახელმწიფო სადაც უსამართლობა სისტემათაა გადაქცეული, ყრილობამ დაადგინა ეთხოვოს შეერთებული ერების გენერალურ მდივანს, რომელსაც ყრილობის დადგენილებას გადაუგზავნა, რომ მიღებული იქნეს საჭირო ღონისძიებანი ამ უსამართლობის მატარებელი სახელმწიფოს მიმართ.

31 ივლისს 17½ საათზე ყრილობა დაიხურა.

## რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ

ეს საინტერესო მოხსენება წაიკითხა ბ-მა ავალიანმა მიუნხენის ქართველთა საჯარო კრებაზე, რომლის შესახებ კრების მიერ მიღებული რეზოლიუცია მოთავსებულია ამავე ნომერში. სამწუხაროთ ეს ვრცელი მოხსენება უადგილობის გამო იბეჭდება შემოკლებით.

კონგრესმა მიიღო მთელი რიგი, მეტად მნიშვნელოვანი, რეზოლიუციებისა, რომელნიც გადაუგზავნა ერთა კავშირის (ონიუ). ამ რეზოლიუციათა შორის ყველაზე საყურადღებოა ჩვენთვის პოლიტიკური რეზოლიუცია, რომელიც საერთოთ ახასიათებს ბოლშევიკური კანონმდებლობის ფარისევლურ თვისებებს აღმოსავლეთ გერმანიაში. ხოლო მეორე მუხლში ვკითხულობთ: „სატელიტ სახელმწიფოთა და საბჭოთა კავშირისაგან ზოგიერთ, **დაპყრობილ სახელმწიფოთა** (უნგრეთის, რუმინეთის, სლოვაკიის, ალბანიის, ლატვიის, ლიტვის და **საქართველოს** (ხაზი ჩვენია) წარმომადგენლების მოხსენებებიდან ნათლათ ჩანს, რომ ამ ქვეყნების მდგომარეობა სავსებით იდენტიურია აღმოსავლეთ გერმანიაში არსებული მდგომარეობასთან“.

საქართველოს ამ ს ი ა შ ი ჩართვით ნათლათ გამოჩნდა, ჩვენის აზრით, შედეგი ამერიკულ წრეებთან დაახლოვების, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვის გერმანელ მეთაურთა გვერდით, ამ კონგრესის მოწყობაში.

ამ კონგრესმა დიდი გამოხმაურება გამოიწვია რადიო-გადაცემებში და გაზეთის ფურცლებზე, განსაკუთრებით ანგლო-საქსონების ქვეყნებში. უადგილობის გამო მოგვყავს აქ მხოლოდ ერთი ადგილი ლონდონის „ტაიმს“-ში (1 აგვისტოს ნომერი), მოთავსებულ წერილიდან.

ერთმა ორატორმა—სწერს „ტაიმს“-ი—ბ. როშატა ტრიკამდასმა (ბომბეიდან) დღეს დილის წარმოთქმულ სიტყვაში ხაზი გაუსვა მაჰმატა განდის მიერ — რომლის მიმდევარი იგია — შემოღებულ პასიური წინააღმდეგობის ღირსებასა და სიძლიერეს.

მაშინვე ოთხმა დელეგატმა გასცა მას სათანადო პასუხი — რომ პასიური წინააღმდეგობა ჩატარებული მშვიდობიანობის მოყვარე და ყველაფრის ამტანი ბრიტანელების მიმართ არ იქნებოდა იგივე მკვეთრი იარაღი ხმარებული არა-მშვიდობიანობის მოყვარე და არა-ამტანი კომუნისტებისა და მათი სატელიტების მიმართ.

ერთი ოთხთაგანი, რომელმაც გამოთქვა ასეთი აზრი იყო ბ. ევგენი გეგეჭკორი, ლტოლვილი საბჭოთა კავშირის საქართველოდან, რომელმაც, აგრეთვე დაჟინებით მოითხოვა საქართველო ჩარიცხული ყოფილიყო ამ კონგრესზე ცალკე წარმოდგენილ ქვეყნების სიაში, რაც კიდევაც მიღებული იქნა“.

---

## რეზოლიუცია

1952 წ. აგვისტოს 15-ს, ქართულ დემოკრატიულ კავშირის საბჭომ გერმანიაში მოისმინა რა ბ. ავალიანის მოხსენება ბერლინის იურისტთა ინტერნაციონალური კონგრესის შესახებ და გაეცნო რა ბ. ევ. გეგეჭკორის როლს ამ კონგრესის მუშაობაში, მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„ბ-ნ ევ. გ ე გ ე ჭ კ ო რ ს.

თქვენ მიერ დადებული ღვაწლი ჩვენი ქვეყნისათვის იურისტთა ინტერნაციონალურ კონგრესზე, არის უდიდესი სამსახური ქართველი ერისათვის, რისთვისაც, ჩვენ, ქართული დემოკრატიული კავშირის წევრები, გამოვსთქვამთ უსაზღვრო მადლობას თქვენდამი და გისურვებთ ხანგრძლივ და ჯანმრთელ სიცოცხლეს. ვიმედოვნებთ თქვენი ხელმძღვანელობით შევსძლებთ ვემსახუროთ ქართულ საქმეს“.

ქართ. დემ. კავშ. საბჭო.

## მეორე ყრილობის მოწვევა

ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა მოიწვიოს საბჭოს მეორე ყრილობა პარიჟში.

კომიტეტს დიდი ხანია უნდოდა ყრილობის მოწვევა, მაგრამ მთელი რიგი მეტად მნიშვნელოვანი საკითხებისა, ჯერ კიდევ მოლაპარაკების პროცესში იყო სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან, რაც სამწუხაროთ, მეტად გაჭიანურდა. ამავე დროს ხელს გვიშლიდა სხვა გარემოებაც.

ამ ჟამად ყველა ის საკითხები, რომლებიც დღის წესრიგში სდგას, თავის საბოლოო დასკვნებს უახლოვდება იმდენათ, რომ ყრილობას შეეძლება იქონიოს მათ შესახებ მსჯელობა და თავისი დადგენილებით ესა თუ ის მიმართულება მისცეს.

კომიტეტმა წინასწარ დაუგზავნა სათანადო წერილი საბჭოს ყველა მონაწილეთ და მათი პასუხების შემდეგ, ყრილობის დღეთ საბოლოოთ დანიშნა 27 - 28 სექტემბერი.

ყრილობის დღის წესრიგში დგას შემდეგი საკითხები: 1. მოხსენება კომიტეტის; 2. საერთაშორისო მდგომარეობა და ჩვენი ტაქტიკა; 3. საორგანიზაციო წესდების შესწორება; 4. ბიუჯეტის საკითხები და 5. არჩევნები.

კომიტეტი ეცდება, თუ ტექნიკურმა პირობებმა ნება მისცა, ყველა საყრილობო მასალები და თავის მოხსენება დაბეჭდოს და დაუგზავნოს საბჭოს წევრებს და ორგანიზაციებს წინასწარ გასაცნობათ.

................................

## ბ უ ე ნ ო ს - ა ი რ ე ს

### (არგენტინა)

12 ივნისს ბოიედოზე, ლიტოველთა დიდ დარბაზში მოხდა ქართული სათვისტომოს საგანგებო სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა ბ-ნი გ. ნაკაშიძე.

სათვისტომოს თავმჯდომარემ, ბ-მა ვ. ნოზაძემ კრებას მოახსენა, რომ საზოგადოების წესდება დამტკიცდა და ამრიგად ქართული სათვისტომო არგენტინაში ლეგალური ორგანიზაციაა.

ამასთან დაკავშირებით ვ. ნოზაძე ითხოვს — მოხდეს ხელახალი არჩევნები თავმჯდომარისა და გამგეობის წევრთა.

არჩეულ იქმნენ: თავმჯდომარეთ ქ-ნი თამარ პაპავა, ხოლო გამგეობის წევრებად: ლევ. ჯაფარიძე, დიმ. ანანიაშვილი, გ. გალაშვილი, კ. გვარჯალაძე, ი. შალელაშვილი და მოლარეთ ნ. ელიავა. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეთ — პ. დგებუაძე, წევრებათ ა. გორგოშიძე და მ. ნადაშვილი.

26 ივლისს იმავე ლიტოველთა კლუბში ახალმა გამგეობამ გახსნა რეგულიარული მოხსენებათა სერია.

პირველი მოხსენება წაიკითხა ვ. ნოზაძემ თემაზე: „ნაპოლეონი და საქართველო“. მოხსენება დიდის ინტერესით იქმნა მოსმენილი.

სათვისტომოს თავმჯდომარემ ქ-მა თამარ პაპავამ მას მადლობა გამოუცხადა და აუწყა დამსწრეთ, რომ ყოველ ორ კვირეში გაიმართება ამგვარი მოხსენებანი, რომელთაც წაიკითხავენ: ნ. ქურიშვილი, გ. ნაკაშიძე, ლ. ჯაფარიძე, თ. პაპავა და სხვანი.

---

## სანდრო კობიაშვილი

23 აგვისტოს, სრულიად მოულოდნელად, გარდაიცვალა პოლონეთის ჯარის ყოფილი ოფიცერი სან. კობიაშვილი. განსვენებული იყო მეტად პატიოსანი და კეთილი ადამიანი, მცოდნე და გაბედული ოფიცერი. საქართველოს დამოუკიდებლობის დროს ის იბრძოდა ქართულ ჯართან ერთად; საქართველოს დაპყრობის შემდეგ მოხდა ემიგრაციაში და სხვებთან ერთად ჩარიცხულ იქნა პოლონეთის ჯარში, სადაც დაიმსახურა საუკეთესო ოფიცრის სახელი.

მიუხედავათ საქმიანი დღისა, დასაფლავებას დიდძალი ქართველობა დაესწრო და დასაფლავებაზე მეტად გრძნობიერი და მისი ცხოვრების დამახასიათებელი სიტყვა წარმოსთქვა გენ. ზაქარიაძემ.

სანდრო დასაფლავებულია ლევილის ძმათა სასაფლაოზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სათვისტომოს გამგეობა

### გვთხოვს გამოვაცხადოთ:

1. ქართველ-უკრაინელ მოხუცებულთა თავშესაფარი სახლი გაიხსნა 7 ივლისს 1952 წ. ს. აბონდან-ში. პარიზიდან დაახლოვებით 70 კილ. მანძილზე.

სახლში არის 105 ადგილი. ჯერ-ჯერობით მოეწყო მხოლოდ 16 ქართველი და ამდენივე უკრაინელი. მოკლე ხანში მოეწყობა კიდევ რამოდენიმე ქართველი, რომელთათვის შუამდგომლობა აღძრულია და საბუთები წარდგენილია განსახილველად, სადაც ჯერ არის.

თავშესაფარში მოთავსების ფორმალური მხარე ასეთია: მსურველი უნდა იყოს წარმოშობით ქართველი, (ფრანგული ქვეშევრდომობა ხელს არ უშლის) 65 წლის ან და შრომის უნარის მოკლებული 80 პროცენტით. უნდა იყოს ნაცხოვრები საფრანგეთში სულ ცოტა ერთი წელიწადი.

თავშესაფარში მყოფი პირები მეტად კმაყოფილნი არიან: ბინით, არაჩვეულებრივი სისუფთავით, ძალიან კარგი კვებით, ლიბერალური რეჟიმით და ადმინისტრაციის მეგობრული დამოკიდებულებით მათთან.

---

2. წელს 20 ივლისს სოფ. ლევილში შატოს დიდ დარბაზში მოძღვარმა მამა ილიამ გადაიხადა წირვა და შემდეგ პანაშვიდი, ლევილის სასაფლაოზე, უცხოეთში გარდაცვალებულ და დაღუპულ ქართველთა სულის მოსახსენებლად.

ამავე სასაფლაოზე მოხდა განსვენებული ლადო ჭურღულაშვილის ძეგლის გახსნა.

ცერემონიალის შემდეგ შატოს ეზოში გაიმართა სადილი, საქველმოქმედო მიზნით, რომელმაც დასტოვა წმინდა შემოსავალი 47.000 ფრ., რაც თითქმის საკმარისია იმ მიზნისთვის, რისთვისაც სადილი იყო მოწყობილი.

დასასრულ, სათვისტომოს გამგეობა უცხადებს ულრმეს მადლობას: მოძღვარ მამა ილიას, იმ პირთ, რომელთაც დახმარება გაუწიეს გამგეობას და მთლიანად ქართულ საზოგადოებას, რომელიც ბლომად დაესწრო ამ დღეს.

---

3. სათვისტომოს გამგეობა აწყობს ამ მოკლე ხანში: ა) ქართული სიმღერების რადიო-გადაცემას; ბ) ქართული ფოლკლორის საღამოს — ე.ნ.ე.ს.კ.-ს საშუალებით; გ) კავკასიური საღამოს და დ) 28 სექტემბერს, 1924 წლის საერთო აჯანყების წლის თავს.

---

### ახალი ფილმი საქართველოზე

ამ უკანასკნელ ხანებში დაიწყეს გადაღება თვითეული რესპუბლიკის საერთო სურათების, გადაღებულია ფილმში საქართველოც. პირველად ნაჩვენებია მისი ბუნებრივი სილამაზე: მთები და ვაკეები, ტყეები და მინდვრები. შემდეგ თბილისის საუკეთესო შენობები; ნაჩვენებია მოღვაწეები: მხატვრები, არტისტები საუკეთესო როლებში, კომპოზიტორები და სხ.

ამას მოჰყვება სურათი ჭიათურის მაღაროების და ქარხნების, ხრამის, ზაჰესის, სუხუმის ელექტრო სადგურის, რკინის და ავტომაშინის ქარხნების და სხ. კრიტიკის აზრით გადაღებულია ფილმი კარგათ. ხოლო მისგან აღებული ასლები (კოპიები) სინემებში დასადგმელად ვერ იძლევა ფერადების სრულ სიელვარეს, მკრთალია, ხარვეზებით სავსე და სხვ.

---

### შეცდომის გასწორება

„მებრძოლი საქართველოს“-ს მეხუთე ნომერში მოთავსებულ ბ-ნი კახაბერის წერილში, მოხდა სამწუხარო შეცდომა. ოთხი სტრიქონი, რაიც უადგილოთ ჩართულია მეხუთე გვერდზე მისი წერილის დასაწყისში, მოთავსებული უნდა ყოფილიყო მეოთხე გვერდის, პირველი სვეტის დასაწყისში.

ამას გარდა მეოთხე გვერდის, მეორე სვეტის მეექვსე სტრიქონში **დაბეჭდილია:** „35 წლის მანძილზე“; **უნდა იყოს:** „3 წლის მანძილზე“.

---

ჟურნალ „**მებრძოლი საქართველოს**“-ს რედაქცია მოთავსებულია:

9, Rue JOBBÉ DUVAL. — Paris 15e
Tél.: VAU. 25 - 14

წერილები და მასალები უნდა გამოიგზავნოს აღნიშნული მისამართით,

**Directeur responsable: Nic. Ourouchadzé, 13, rue Edgar-Quinet Montrouge — Seine**

**Impr. de Navarre, 11, rue des Cordelières, Paris.**

მ- 676